ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„ხელისუფლება კანონის სახელით ძარცვავს მოქალაქეებს“

გვ.5

მარიამ ქელბაქიანი: „2 თვეში 5 სამინისტროში 1.604.487 ლარის პრემია-დანამატი გაიცა“

31 იანვრიდან

ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული



ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პარასკევი, 1 თებერვალი, 2019 №26 (7881) ფასი: 60 თეთრი

ტრაგედია თბილისში — გაზის გაჟონვით 7 ადამიანი დაიღუპა

გვ.2

„ყაზტრანსგაზის“ სტატისტიკით, მიმდინარე წლის იანვარში ბუნებრივი აირით 73 ადამიანი მოიწამლა, ხოლო 11 — გარდაიცვალა.

გვ.3

კახა კუკავა: „საქართველოში ქაოსი იწყება“

ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება ივანიშვილმა ელცინის რუსეთიდან ისწავლა

გია არაბიძე: „თუ გაზის გამათბობელს არ აქვს მილი, რომელიც ფანჯრიდან არის გაყოფილი, CO-ს ოთახში გიჭოვებს“

გვ.2

„ბიძინა ივანიშვილი ალყაშია“

მეგი გოცირიძე: „ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა ადამიანების სიცოცხლისთვის საშიშია“

გვ.3

გვ.4

კახა გოგოლაშვილი: „ოსეები ყაზბეგს რუსეთის დავალებით ითხოვენ“

„საქართველოს საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში უნდა იყოს“

გია გაჩეჩილაძე: „მოსამართლეებმა უკვე მეტისმეტი მოინდომეს“

გვ.5

გვ.6

ვახტანგ ხმალაძე: „ჩვენ ახლავე უნდა გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე“

სამართალი გვ.7

რუსთავში კაცმა ველოსიპედი მოიპარა, ავარიაში მოყვა და სასწრაფოს მანქანიდან გაიქცა

ტრაგედია ლაგოდეხში — ავარიას 5 წლის ბავშვი ემსხვერპლა

თბილისში 4 მანქანის გაქურდვის ფაქტზე არასრულწლოვანი დააკავეს

ISSN 1987-9385

7 ჭიდაობის ფედერაციის ხარჯებთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურმა პროკურატურას მიმართა

6 გიგა ბუკია: „პატარა პარტიებს თავის გადასარჩენად პარლამენტის არჩევის ის წესი უნდა აწყობდეთ, რომელიც 2020 წლისთვის შემუშავდა“

7 ქუთაისში ეკლესიისთვის შეწირული ქათმები მოიპარეს

8 ამერიკის დაზვერვა: რუსეთი კიბერომისათვის ემზადება!

ტრაგედია თბილისში – გაზის გაჟონვით 7 ადამიანი დაიღუპა

შორენა მარსაგიშვილი



თბილისში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა – ქეთევან წამებულის გამზირზე გაზის გაჟონვის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა. გარდაცვლილთაგან ორი ადამიანი მამა-შვილია, ორი – ძმები. დაღუპულთაგან ყველაზე უფროსი 54 წლის იყო, ყველაზე პატარა კი – 19 წლის.

სიკვდილს გადაურჩა ერთ-ერთი დაღუპულის ძმა, რომელიც ტრაგედიის მომენტში სახლში არ იმყოფებოდა.

შვიდივე გარდაცვლილი თბილისში მშენებლობაზე მუშაობდა. გარდაცვლილები თანამშრომელმა იპოვა. მან კოლეგებს სახლში მიაკითხა, რადგან ისინი მშენებლობაზე არ მივიდნენ.

გარდაცვლილთა ცხედრები ექსპერტიზაზე გადაასვენეს. სახლის მეპატრონე ალექსანდრე მურადოვი კი, სადაც უბედურება დატრიალდა, შსს-ში დაკითხვაზე დაიბარეს.

დაკითხვის დროს მურადოვი შეუძლოდ გახდა. მას გულის შეტევა დაემართა. მურადოვს დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

მის გარდა, დაკითხვაზე იმყოფებოდნენ „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებიც. კომპანიის წარმომადგენლებმა მედიასთანაც გააკეთეს კომენტარი.

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალურმა მმართველმა გიგლა თამაზაშვილმა განაცხადა, რომ უბედური შემთხვევა გაზის გაჟონვას მოჰყვა.

მისივე თქმით, გაჟონვის წყაროს წარმოადგენდა კუსტარულად და ტექნიკური რეგლამენტების დარღვევით დამონტაჟებული წყლის გამაცხელებელი დანადგარი.

– მოქმედი რეგულაციების მიხედვით, გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია, მარტიდან მარტამდე შეამოწმოს თავისი აბონენტები და, თუ აღმოაჩენს მსგავსი ტიპის დარღვევებს, მოხდეს გაზის ქსელიდან გათიშვა, ჩაჭრა და დალუქვა. აღნიშნულ შემთხვევაშიც 2017 წელს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გამაცხელებელი დანადგარი გაზის სისტემიდან იქნა ჩაჭრილი და დალუქული. სავარაუდოდ, მოხდა მისი ხელმეორედ კუსტარულად მიერთება.

2018 წლის აქტითაც დასტურდება, რომ აღნიშნული დანადგარის ჩაიხსნა, თუმცა კვლავ კუსტარულად მიაერთეს გამანაწილებელ ქსელზე, რასაც მოჰყვა ნამწვის გამოყოფა. ამ შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გაჟონვასთან არ გვაქვს საქმე. ეს გახლავთ კლასიკური შემთხვევა, როდესაც არასრული წვის პროდუქტი გამოიყოფა. ეს არის მეტად მომწამვლელი, უსუნო და უფერო ნივთიერება, – განუცხადა „2020 ნიუსს“ გიგლა თამაზაშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ მოხდა გაზის შეწყვეტა, თუ გათიშვის შემდეგ მრიცხველი მუშაობდა და აბონენტი აგრძელებდა ყოველთვიური საფასურის გადახდას, გიგლა თამაზაშვილმა განაცხადა, რომ, მოქმედი რეგულაციის მიხედვით, მხოლოდ იმ დანადგარის ჩახსნა ხდება, რომელიც ტექნიკური რეგლამენტების დარღვევით არის დამონტაჟებული,

– ჩახსნილ იქნა წყლის მხოლოდ გამაცხელებელი, ხოლო გაზქურა და, თუ არ ვცდები, დახურული წვის კამერიანი გამათბობელი რეგლამენტებს შეესაბამებოდა და, შესაბამისად, გაზის შეწყვეტის უფლება გამანაწილებელ კომპანიას არ ჰქონდა, – განაცხადა თამაზაშვილმა.

ქეთევან წამებულის ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიას პოლიტიკური შეფასებებიც მოჰყვა. კომენტარი გააკეთა დედაქალაქის მერმაც. კახა კალაძე ტრაგედიის ადგილზეც მივიდა.

– კიდევ ერთი უბედურება დატრიალდა. მინდა, მივუსამძიმრო ოჯახებს, ახლობლებს. ძალიან მძიმეა. მე გამიჭირდება, ვინმეზე რაღაცა ვთქვა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი. ცხადია, პრობლემა არსებობს. რამდენიმე დღის წინ მერიაში მქონდა შეხვედრა და მოვისმინეთ, თუ რა ცვლილებებს აპირებენ ამ მიმართულებით. ამის აუცილებლობა არის. არის შემთხვევები, როცა შეიძლება, კომპანიის დაუდევრობით ხდებოდეს, არის შემთხვევები, როცა მცხოვრებლების მხრიდან ხდება. ყველამ ვიცით, რომ გარე წვის გამათბობლების დაყენება დახურულ სივრცეში კატეგორიულად არ შეიძლება, – აღნიშნა თბილისის მერმა.

ოპოზიცია მომხდარზე პასუხისმგებლობას „ყაზტრანსგაზსა“ და თბილისის მერიას აკისრებს.

საკრებულოს დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლება და გაზის კომპანია მუდმივად გადაბრალების რეჟიმში არიან, ამას კი ადამიანების სიცოცხლე ეწირება.

– ტრაგედია ტრაგედიაზე ხდება, პასუხი, ფაქტობრივად, არ გვაქვს, ხელისუფლება და გაზის კომპანია მუდმივად გადაბრალების რეჟიმში არიან, იმის ნაცვლად, რომ პასუხი გაგვცენ და პრევენციული ზომები მიიღონ. რა თქმა უნდა, არის „ყაზტრანსგაზის“ პასუხისმგებლობაც რიგ შემთხვევებშიც, თუმცა ის, რომ ერთი ადამიანი იყო თბილისის მერიაში სატრანსპორტო სამსახურის და „ყაზტრანსგაზის“ დირექტორიც, ეს, რა თქმა უნდა, კითხვებს ბადებს.

კახი კალაძე, ნაცვლად იმისა, რომ სხვისკენ იშვერდეს ხელს, კარგი იქნება, რომ პრევენციულ ზომებზე მუშაობას იწყებდეს. ამ ქალაქში რამდენიმე დღეში რამდენიმე მძიმე ტრაგედია მოხდა. განა რამდენი ტრაგედია უნდა მოხდეს, რომ ხელისუფლებამ ყურები გამოიბერტყოს?! – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

კალაძეს დააკისრა პასუხისმგებლობა ალეკო ელისაშვილმაც. ქეთევან წამებულის გამზირზე მას მერთან გაწევ-გამოწევაც კი მოუვიდა.

ელისაშვილმა პირობა დადო, რომ კალაძესა და „ყაზტრანსგაზს“ თბილისიდან კუდით ქვას ასროლინებს.

კალაძემ ალეკო ელისაშვილი დემაგოგიურ და პოპულისტურ განცხადებებში დაადანაშაულა.

– ალეკო ელისაშვილი ვინ არის და რას წარმოადგენს, მე ეს მას 2017 წელს დავუმტკიცე. ეს არ არის ადგილი ამ თემაზე სასაუბროდ, მაგრამ ელისაშვილს პოპულიზმსა და დემაგოგიას არ ვაპატიებ, – განაცხადა კალაძემ.

„ყაზტრანსგაზმა“ სტატისტიკაც გამოაქვეყნა, საიდანაც ვიგებთ, რომ მიმდინარე წლის იანვარში ბუნებრივი აირით 73 ადამიანი მოიწამლა, ხოლო 11 – გარდაიცვალა.

გია არაბიძე: „თუ გაზის გამათბობელს არ აქვს მილი, რომელიც ფანჯრიდან არის გაყოფილი, CO-ს ოთახში გიტოვებს“

ლელა მდივანი



ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ტრაგედიების სერია არ წყდება. თუმცა, ამჯერად უბედური შემთხვევა არა ბუნებრივი აირის გაჟონვამ, არამედ ბინაში CO-ს, ანუ ნამწვის დაგროვებამ გამოიწვია.

შემთხვევის შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის მამა-შვილი. გარდაცვლილები მუშები იყვნენ, რომლებიც ერთ-ერთი ბანკის სამშენებლო სამუშაოებზე მუშაობდნენ და ბინა დაქირავებული ჰქონდათ. CO-ს დაგროვების მიზეზად კუსტარულად დამონტაჟებული წყლის გამათბობელი სახელდება, რომელიც ბინაში მცხოვრებლებმა თვითნებურად დაამონტაჟეს.

როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბინაში CO-ს ჭარბი რაოდენობა გროვდება, რა იწვევს მის გამოყოფას და როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის, ამაზე „ახალ თაობას“ ენერგეტიკოსი გია არაბიძე ესაუბრა.

გია არაბიძე, ენერგეტიკოსი:

– თუ ხელსაწყოს წვის ნაწარმის ატმოსფეროში გატყორცნის საშუალება არ აქვს, არავითარ შემთხვევაში მისი ბინაში ექსპლუატაცია არ შეიძლება.

– რა შემთხვევაში გროვდება CO ბინაში?

– იმ შემთხვევაში, თუ ბინა არ ნიავდება. თუ ღია გამათბობელი გაქვს და წვის ნაწარმი ოთახში გამოიფრქვევა, ბუნებრივია, ის გროვდება. როგორც ჩანს, მას ჰქონია კუსტარული წესით დამზადებული წყლის გამათბობელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გამათბობელმა ოთახიდან აღო წვისათვის საჭირო ჰაერი და ოთახშივე გამოაფრქვია წვის ნაწარმი, რომელშიც შედიც CO-ც და CO2-ც. ერთ-ერთმა, უფრო ალბათ CO-მ, მოახდინა იმ ხალხის მოწამვლა.

– CO-ს სუნი არ აქვს ხომ?

– არა, არ აქვს.

– როგორ შეგვიძლია მივხვდეთ, რომ გამათბობელი არის კუსტარულად დამონტაჟებული და გამოიწვევს CO-ს დაგროვებას? ამის ამოცნობა შეგვიძლია?

– თუ გამათბობელს, რომელიც გაზს წვავს, არ აქვს მილი, რომელიც გაყოფილია ფანჯრიდან და გასულია გარეთ, ანუ ის კვამლი გარეთ თუ არ გადის, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს არის ღია ტიპის გამათბობელი და ყველაფერს გიტოვებს ოთახში. ხელსაწყოს თუ უყურებ და მილი არ აქვს, რომელიც გარეთ გადის, ესე იგი ნამწვი ოთახში იფრქვევა.

– როგორც გაირკვა, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლებმა აღნიშნული დანადგარი შეუსაბამობის გამო 2018 წლის მარტში ჩახსნეს, თუმცა ბინაში მცხოვრებლებმა თვითნებურად დააერთეს. გამოდის, რომ ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა არავის ეკისრება, ხომ?

– საქმე ის არის, რომ კანონმდებლობით ყაზტრანსგაზს“ მეტის უფლება არ აქვს. უნდა შეამოწმოს, უცბად გააფორმოს, ოქმი შეუდგინოს, მოუხსნას ხელსაწყო და ამის იქით ვეღარ მიდის „ყანსტრანსგაზი“. მას იმის უფლებაც არ აქვს, რომ ცენტრალური სარქველი გადაკეტოს და 10-15 მოსახლე და მთელი სადარბაზო დატოვოს ბუნებრივი აირის გარეშე. ამას რეგულაცია სჭირდება. მივიდა, ნახა, შეამოწმა, უთხრა, მოხსენიო და, თუ არ მოხსნა პატრონმა, ჩამორთმევის უფლება არ აქვთ, კერძო საკუთრებაა და მილიონს დაუსვამენ. ამიტომ, ერთადერთი, გაფრთხილების უფლება აქვთ, გადაუკეტონ გაზი და უთხრან, აღარ ჩართოო. წავიდა ეს კაცი, გამოიღო „პლასკაგუბცი“, აიღო მავთული, მიაერთა „შლანგი“ და დაამთავრა მაგით. ამათ, როგორც ჩანს, ღამე ჰქონდათ ის გამათბობელი დატოვებული, თორემ დილას რად უნდოდათ გათბობა.

– რჩევა რა იქნება თქვენი მხრიდან?

– ერთადერთი რჩევა ის იქნება, ნუ იყიდით კუსტარულ ხელსაწყოებს, არავითარ შემთხვევაში დახურულ შენობაში, სახლში არ დადგათ ის ხელსაწყო, სადაც ღია გამათბობელია. თუ ხელსაწყოს არ აქვს წვის ნაწარმის ატმოსფეროში გატყორცნის საშუალება, არავითარ შემთხვევაში მისი ბინაში ექსპლუატაცია არ შეიძლება. თუ მეტი გამოსავალი არ გაქვთ და სხვას ვერაფერს აკეთებთ, ეს მაინც დაიმახსოვრეთ, რომ ყოველ 10-15 წუთში ერთხელ, თუ ღია ხელსაწყო სახლში გაქვთ, ოთახი გაანიავეთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ბიძინა ივანიშვილი ალყაშია“

მეგი გოცირიძე: „ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა ადამიანების სიცოცხლისთვის საშიშია“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება ქვეყანაში. რატომ ვეღარ დარჩება ივანიშვილი ხელისუფლებაში, რას გეგმავენ მოსახლეობა და ოპოზიცია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

– ამ ინტერვიუს ჩაწერამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ თბილისში გაზის გაჟონვით 7 ადამიანი დაიღუპა. საქართველოს დედაქალაქში ვცხოვრობთ თუ საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში?

– საქართველო, როგორც ქვეყანა, 2012 წლიდან აღარ არსებობს. ტრაგედია, რომელსაც 7 ადამიანი შეეწირა, ჩემს უბანში მოხდა. ჩემს ახლოს ტრიალებს ეს უბედურება, აღარ შემიძლია ამდენის ატანა, ლამისაა, გული გამისკდეს.

როგორ უნდა გეზიზღებოდეს შენი ხალხი, რომ ამდენი უბედურება მოუწყო. ამდენი უბედურება ერთად შეუძლებელია, მოხდეს.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ შემთხვევითობის არ მჯერა. შემთხვევით ამდენი უბედურება არ ხდება.

– ფიქრობთ, რომ ვილაც დივერსიას აწყობს?

– დიახ. ეს დივერსიაა და ამას ივანიშვილის სისხლიანი რეჟიმი აწყობს.

– ამის თქმის საბაბს ის გაძლევთ, რომ ეს ყველაფერი ამ ხელისუფლების დროს ხდება?

– ამის თქმის საბაბს ის მაძლევს, რომ უბედურებები დაიწყო იქიდან, რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ. არჩევნების ღამეს ქვევრში ჩაახრჩვეს 9 თვის ბავშვი და ეს ნაციონალებს დაგვაბრალეს. „ოცნება“ ხელისუფლებაში 2012 წლის 1 ოქტომბერს მოვიდა. 15 ნოემბრიდან ქვეყანა ხანძრებმა მოიცვა. ქოცების პირველი მსხვერპლი სავაჭრო ცენტრი „საბა“ იყო. ამის შემდეგ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში უამრავი ბაზარი თუ სავაჭრო ობიექტი დაიწვა.

ადამიანები, რომლებიც იქ ვაჭრობდნენ, ჩათვალეთ, რომ დახოცეს. მათ სარჩო წაართვეს. ისინი შემოსავლის გარეშე დატოვეს. ეს კი ადამიანის ლიკვიდაციის ტოლფასია.

თბილისში მომხდარი წყალდიდობის დროს ღამის 20-მდე ადამიანი ამოახრჩო ამ დამპალმა რეჟიმმა წყალში.

– რას ნიშნავს, ამოახრჩო? წყალდიდობისგან არც ერთი ხელისუფლება დაზღვეული არ არის.

– არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ წყალი თბილისისკენ რომ წამოვიდა, რატომ არ გადაიკეტა გზები და ხალხი რატომ არ გააფრთხილეს?!

ადამიანები წყალში არ ჩაიხრჩობოდნენ, ვერტმფრენები რომ გამოეყენებინათ სამაშველო ოპერაციისთვის.

ბაზრებისა და ბაზრობების გადაწვის პარალელურად, ივანიშვილი ტყეების დაწვასაც შეუდგა. შეუძლებელია, ამდენი ხანძარი შემთხვევით მომხდარიყო. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ასწლოვან ხეებს თხრის და ბუნებას ანადგურებს.

რუსი ოლიგარქი ივანიშვილი საქართველოში ქვეყნის ასაოხრებლად მოვიდა. 2012 წლიდან დღემდე მილიონმა ადამიანმა დატოვა საქართველო. ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ქვეყანა ხალხისგან დაცალოს.

შემთხვევითობა არც ის მგონია, კორპუსები რომ ფეთქდება და ადამიანები გაზის გაჟონვით იღუპებიან. ამ ყველაფერს ერთი ხელი მართავს. მიზანი, როგორც უკვე გითხარით, საქართველოს აოხრებაა.

– ეს დამთხვევები მართლა საეჭვოა, მაგრამ იქნებ ამის უკან ნაციონალები დგანან, რომ „ოცნების“ წინააღმდეგ განაწყონ ხალხი?

– ეს გამორიცხულია.

– რატომ არის გამორიცხული, ნაციონალები ხომ არ მალავთ, რომ ამ ხელისუფლების შეცვლა გინდათ?

– ამ ხელისუფლებას აუცილებლად შევცვლით, მაგრამ ადამიანების სისხლის ხარჯზე – არა. ეს ყველაფერი თუ ნაცების გაკეთებულია, რატომ არ იძიებენ? დააკავონ დამნაშავეები და ამით დამთავრდება ყველაფერი.

სულ იმას ამბობდნენ, ნაციონალები გვიღებენ და გვითვალთვალებენო. ჩვენ დროს გსმენიათ რამე იმის შესახებ, რომ ვინმეზე ფარული კადრები გავრცელდა? ახლა, ხომ ხედავთ, რა ხდება? ერთმანეთზე ავრცელებენ ამ კადრებს, რაც ამაზრზენია. ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება კიდეც.

ივანიშვილს საქართველოს საჯიჯგნად აღარ დავუტოვებთ. „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნა ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია. ამ საშიშ ნივთიერებას აუცილებლად მოვიშორებთ.

– რანაირად მოიშორებთ?

– ამას ყველა ერთად გავაკეთებთ. საზღვარგარეთიდან ემიგრანტები ჩამოვლენ. აქ ჩვენ დავხვდებით. ივანიშვილი ალყაშია, სადაც არ უნდა გაიქცეს, ყველა მიმართულებით წაიქცევა.

მინდა, ვისარგებლო თქვენი გაზეთით და საგანგებოდ მივმართო ქოცებს: ქოცებო, თქვენ ხართ ყველაზე ამაზრზენი არსებები მთელ სამყაროში, თქვენ ხართ უბინძურესები, ჭუჭყიანები ხართ და თან ავადმყოფები!

თქვენ ის ხალხი ხართ, რომლებიც თქვენსავე თანამებრძოლებზე გადაღებულ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებს უყრით ერთმანეთს, ავრცელებთ ინფორმაციებს თანაგუნდელების წინააღმდეგ, ასრულებთ ხიხოს დაკვეთას და ტალახში სვრით ადამიანებს, რომლებთან ერთადაც წლებია, მოდიხართ! რასაც თქვენ ერთმანეთს უკეთებთ, ჩვენ ის გულს გვირეკს და ამიტომაც ხართ თქვენ ქოცები და ჩვენ ადამიანები!

ფუჰ, მეზიზღებით ყველა, ვინც სხვის პირად ცხოვრებაში ხელს აფათურებთ, თქვენ იგივე ხართ მარად და მარად, ასე უვრცელებდით ნაციონალებსაც ყველა სიბინძურეს, ოღონდ ზეპირად და ტყუილებს კრემლის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა ბეჭდური თუ ტელე მედიასაშუალებებით. თქვენ ის ხალხი ხართ, რომლებმაც საკუთარ უკანალში ცოცხი გაიკეთეთ მიშას ჯინაზე და კრემლის დაკვეთით ბოლო ხმაზე ღრიალებდით, 26.000 კაცი გვიხმარესო, თქვენთვის არაფერია წმინდა, თქვენ ხართ, ერთი მხრივ, გარეწრები და, მეორე მხრივ, სექსუალური გადახრის მქონე ავადმყოფები. თქვენ ხართ საშიში მანიაკები და საზოგადოებისგან იზოლირებულნი უნდა იყოთ. თქვენ გააქციეთ მილიონი ადამიანი ქვეყნიდან, თქვენ გვერდით ცხოვრება სახიფათოა როგორც ბავშვებისათვის, ასევე დიდებისთვის. ნახევარი თქვენგანი უნდა იწვეს ფსიქიატრიულში, მეორე ნახევარი კი უნდა ისხდეთ ციხეში!

კახა კუკავა: „საქართველოში ქაოსი იწყება“

ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება ივანიშვილმა ელცინის რუსეთიდან ისწავლა

ნონა ცაბაძე

ასეთი ბინძური მეთოდებით, როგორც ბიძინა ივანიშვილი ებრძვის არათუ ოპონენტებს, არამედ საკუთარ თანაგუნდელებს, სააკაშვილიც კი არ მოქცეულა – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა**.

– ბატონო კახა, რა ხდება ქართულ პოლიტიკაში და განსაკუთრებით მმართველ გუნდში? უბინძურესი მეთოდებით უსწორდებიან საკუთარ თანაგუნდელებსო. რას იტყვით თქვენ, რა პროცესი მიმდინარეობს?

– მიმდინარეობს რეჟიმის ბოლომდე ლპობა, რაც, პრინციპში, დამახასიათებელია ასეთი ტიპის რეჟიმებისთვის, რაც არის ოლიგარქია, შევარდნაძის რეჟიმი რაც იყო, ან ელცინის რეჟიმი რუსეთში და იანუკოვიჩის, როდესაც არ არის არც ინსტიტუტები და არც მკაცრი ხელი არ არის. რეჟიმის თავი დალპა უკვე და ივანიშვილი ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას. შევარდნაძის ბოლო წლებს რომ ვიხსენებ, ძალიან ჰგავს სიტუაცია ერთმანეთს. შევარდნაძე რომ დასუსტდა, იქ ყველა მინისტრი ცალ-ცალკე კლანს აყალიბებდა, გატაცებები პანკისში და იყო ქაოსი.

– იწყება ქაოსი?

– დღესაც საქართველოში იწყება ქაოსი. ყველამ იცის, რომ ივანიშვილი უახლოეს ერთ წელიწადში დატოვებს ძალაუფლებას, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს მოწესრიგებული გადასვლა, ანუ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაბარება და რა ფორმით. ამიტომაც ეს ქაოსი კიდევ უფრო გაძლიერდება და კიდევ უფრო მწვავე კონკურენციის ფორმას მიიღებს უახლოეს თვეებში.

– რას იტყვით ბრძოლის ამ ბინძურ მეთოდზე, კომპრომატების ომსა და პირადი ცხოვრების ასე გასაჯაროებაზე?

– ზუსტი ანალოგია, სწორედ ამიტომ შევადარე ელცინის რუსეთს. როცა არ არის დადგენილი თამაშის წესები, იქ ხდება კომპრომატების გამოქვეყნება. ახლა ამან მიიღო სრულიად არანორმალური ხასიათი. უბრალოდ, განსხვავება იმაშია, რომ შევარდნაძის დროსაც, ელცინის დროსაც და სააკაშვილის დროსაც რაღაცა ზღვარი მაინც არსებობდა.

– სააკაშვილის დროს?

– მე ნამდვილად ვერ გავიხსენებ მიხეილ სააკაშვილის დროს იმას, რომ რომელიმე პოლიტიკოსს გამოუქვეყნეს ასეთი კომპრომატები. ჩვენ გვახსოვს სხვადასხვა ტიპის აღვირახსნილი კადრები ჯაშუშებთან თუ პატიმრებთან დაკავშირებით, რაც, ბუნებრივია, ასევე ძალიან მძიმე დანაშაული იყო, მაგრამ იმ ხელისუფლებამაც კი ვერ გაბედა, საჯარო პირების მიმართ გაეკეთებინა ასეთი რამ. დღეს რეჟიმი არის ბოლომდე ლპობის სტადიაში და ეს ასახავს ივანიშვილის პირად წარმოდგენებს ფასეულობებზე, მორალსა და ოჯახზე.

– რისი თქმა გინდათ, რომ სააკაშვილი არ მიდიოდა მსგავს სიბინძურეებზე?

– მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილიც და შევარდნაძეც, რა თქმა უნდა, იყვნენ ბოროტმოქმედები, ქურდებსაც, ბოროტმოქმედებსაც და განგსტერებსაც თავიანთი თამაშის წესები აქვთ და რაღაცას ისინიც არ კადრულობენ. დღევანდელმა ხელისუფლებამ კი გადალახა ეს ზღვარი. შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს კი არა, საბჭოთა პერიოდშიც და 30-იან წლებში, როცა ადამიანებს ხვრეტდნენ, მაშინაც არ გამიგია მე, რომ ასე საჯაროდ ყოფილიყო გამოქვეყნებული ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილს მოუწევს ძალიან მძიმე ფასის გადახდა და ის ამისათვის უნდა მოემზადოს!

– ურჩ თანაგუნდელებს ამ მეთოდით უსწორდება?

– რა თქმა უნდა. არანაირი ეჭვი არ არის, რომ ეს არის პირადად ბიძინა ივანიშვილის განკარგულება ეკა ბესელიას წინააღმდეგ მასალების გავრცელება. არანაირი ეჭვი ამაზე არ არსებობს, არა მარტო იმიტომ, რომ ეს დროში დაემთხვა ეკა ბესელიას მიერ გაკეთებულ განცხადებებს, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს არ ხდება პირველად ივანიშვილის მმართველობის წლებში. ეს მესამე თუ მეოთხე ტალღაა ასეთი ჩანაწერების. ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა წინა შემთხვევაში ხელისუფლება იყო ლოიალური, ან არ აპატიმრებდა არავის, ან ვიღაცები დააპატიმრეს და არასაპატიმრო სასჯელები შეუფარდეს.

– ერთ-ერთი პირველი, ვის მიმართაც მსგავსი ანგარიშსწორება იყო, ირაკლი ალასანია მახსენდება და ჭორაობა მის პირად ცხოვრებაზე.

– კი, კი ამით დაიწყო. ერთ-ერთი პირველი იყო და ესეც არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ ეს ხელისუფლება ყველაფრის მკადრებელია. მე ხომ ვიყავი სააკაშვილის ძალიან რადიკალურ ოპოზიციაში, სააკაშვილს რამდენჯერ ვყავარ გალანძღული, რომ ეგ არის რუსეთის ჯაშუში, ეგ არის რადიკალი, ანარქისტი და რას აღარ მეძახდა, მაგრამ არასდროს უთქვამს არც ჩემზე და არც სხვა ოპონენტზე, საძინებელში ვინ რას ვაკეთებდით. რაც სიმართლეა, სიმართლეა, ეს არ უკადრებია. ადამიანებსაც სცემდა, აწამებდა და აპატიმრებდა, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმს არ უკადრებია ის, რომ პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ გამოეყენებინა მათი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები. ივანიშვილმა ეს სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ამის არანაირი საჭიროება არ არსებობდა. ეს არის ის, რაც მან ელცინის რუსეთიდან ისწავლა. ხომ კარგად გახსოვთ, რაც გაუკეთა ალასანიას? თავდაცვის მინისტრს ჯაშუშები გააყოლა დუბაიში, რათა გაეგო, ალასანია ვისთან ერთად ისვენებდა. მაშინ საზოგადოება ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. მე ვიყავი ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც ვამბობდი, რომ ეს კარგად არ დამთავრდება, რომ ეს არ არის ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანი. გარდა იმისა, რომ ამორალურია, აქ არაჯანსაღი ფსიქიკაც არის. მსოფლიოში ბევრი დიქტატორი და არაფორმალური მმართველი ვიცით, მაგრამ, არა მგონია, რომელიმე თავისი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის საყვარლებს ითვლიდეს და ამ ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდეს.

– ბინძური მეთოდებით იბრძვიან?

– აქ ერთი რაღაცაა, რაც მე არაერთხელ მითქვამს და ეს ივანიშვილს ბევრჯერ გაახსენდება. არსებობს ასეთი პოლიტიკური კატეგორია – პოლიტიკური ფასი. ყველაფერს აქვს თავისი ფასი. შენ რომ დღეს რაღაცას აშავებ და ინსტიტუტებს რომ არ შეუძლიათ, ამაზე პასუხი გაგებინონ, როდესაც ხელისუფლებას დაკარგავ, შენ იხდი შემდეგ ამის ფასს და იხდი ძალიან ძვირად. ხომ ვხედავთ, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაცმოძრაობამ გადაიხადა იმისი ფასი, რასაც 2007-ში აშავებდა, ანუ 11 წლის შემდეგაც კი არა აქვს დაკარგული აქტუალობა იმ დანაშაულებს, რომლებიც მათ ჩაიდინეს. ივანიშვილს ამიტომ უნდა ესმოდეს, რომ ის ხელისუფლებას დატოვებს 2019-ში ან 2020-ში, მაგრამ ეს დანაშაულები, რომლებიც მას ჩადენილი აქვს საქართველოში ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება. მას მოუწევს ძალიან მძიმე ფასის გადახდა.

– რა იქნება ეს მძიმე ფასი?

– მას რომ ხელისუფლება დაეტოვებინა მოწესრიგებული ფორმით, როგორც ხდება ნორმალურ ქვეყნებში, გადადგებოდა, წაიღებდა თავის 8 მილიარდს, რომელ კუნძულზეც უნდოდა და იცხოვრებდა უზრუნველად. ახლა, შესაძლოა, ეს დანაშაულები იურიდიულად არ არის დადასტურებული, მაგრამ, როგორც კი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კახა გოგოლაშვილი: „ოსები ყაზბეგს რუსეთის დავალებით ითხოვენ“

„საქართველოს საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში უნდა იყოს“

იაგო ნაცვლიშვილი

გერმანულ გამოცემა „ნოიეს დოიჩლანდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა განაცხადა, რომ ყაზბეგი ისტორიულ აღმოსავლეთ ოსეთს წარმოადგენს და ადრე თუ გვიან ეს ტერიტორიები ოს ხალხს დაუბრუნდება.

ამ სკანდალურ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება არ გამოხმაურებია. უწყების საიტზე ამის უარმყოფი განცხადება ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა. განმარტება მხოლოდ საქართველოს საელჩომ გერმანიაში გააკეთა.

„ინტერვიუს ავტორი, ჟურნალისტი დავიდ ნოაკი (David X. Noack) სტატიებს აქვეყნებს ძირითადად მემარცხენე ორიენტაციის გამოცემებში და 2012 წლიდან არის ორგანიზაცია „რუსეთის ხალხთა ბერლინელი მეგობრების“ წევრი და აქტიური მხარდამჭერი.

რაც შეეხება თავად გამოცემას, „ნოიეს დოიჩლანდი“ (Neues Deutschland) გახლავთ დაბალტირაჟიანი მედიასაშუალება. სხვადასხვა უწყების მიერ (Bundeszentrale fьr politische Bildung, Bundesamt fьr Verfassungsschutz) იგი მიჩნეულია გამოცემად, რომელიც აშკარად ავლენს მემარცხენე-რადიკალურ მიდრეკილებას“, – განმარტავენ გერმანიაში საქართველოს საელჩოში პირველი არხის ინფორმაციით.

რას ნიშნავს მედოევის განცხადება და ხომ არ არის პასიური ასეთი განცხადებების დროს საქართველოს ხელისუფლება, რათა, ერთი მხრივ, უარყოს აღნიშნული დეზინფორმაციები, ხოლო მეორე მხრივ საერთაშორისო დღის წესრიგზე აიტანოს? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ „ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელ **კახა გოგოლაშვილს** ესაუბრა:

– გავეცანით მედოევის ინტერვიუს, რომელმაც ყაზბეგთან დაკავშირებით ისაუბრა. როგორ უნდა აღვიქვათ მისი განცხადება, თითქოს ყაზბეგი აღმოსავლეთ ოსეთის ნაწილია?

– ეს ნიშნავს თავხედობას. ალბათ ასეთი პოლიტიკაა, რომ აქეთ პირიქით გვაშინებდნენ. ჩვენ კი არ გვაქვს საქართველოს რაიმე ვალი, საქართველოს აქვს ჩვენ მიმართ რაღაც ვალიო. ასეთ სისულელეს აქვს აქ ადგილი.

– როგორ ფიქრობთ, ეს არის ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების პოზიცია თუ რუსეთიდან არის მართული?

– ე.წ. სამხრეთ ოსეთს თავისი საგარეო პოლიტიკა არ აქვს და არც შეიძლება, ჰქონდეს. ასე რომ, რა თქმა უნდა, ასეთი სახის მესიჯები, მით უმეტეს, როდესაც ტერიტორიებს ეხება საკითხი, რამაც შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს კონფლიქტი, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი ამას ვერ იტყვის რუსეთისგან დამოუკიდებლად.

– რა რეაქცია უნდა გვქონდეს ჩვენ, ჩვეულებრივად უნდა მივიღოთ, როგორც ამას საქართველოს ხელისუფლება აკეთებს?

– მე მგონი, ჩვეულებრივად ასეთი რაღაცების მიღება არ შეიძლება. ყველაფერს იმ წუთში პასუხის გაცემა სჭირდება, მაგრამ სხვა რა უნდა გაკეთდეს?! შეიძლება, დემარში მოგვეწყო და შეგვიჩერებინა ჩვენი საზღვრები ჟენევის ფორმატში, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაწყობს. პირიქით, მათ აწყობთ და ყველაფერს აკეთებენ, აწყობენ პროვოკაციებს, რათა ჟენევის ფორმატი კიდევ უფრო შესუსტდეს და ნაკლები შეხვედრები იყოს, ანუ ამ ვითარებაში ეს ჩვენთვის პროვოკაციაა, რომელსაც არ უნდა წამოვეგოთ.

პასუხი, რა თქმა უნდა, გასაცემია. პასუხი გასაცემია მოსახლეობის მეტი ინფორმირების თვალსაზრისითაც. ამას მეტი სამთავრობო ძალისხმევა სჭირდება, რათა ეს საკითხები საერთაშორისო არენაზეც და ქვეყნის შიგნითაც ფართოდ იყოს განხილული. ის, რაც არის ისტორიული ფაქტები და არა მხოლოდ პოლიტიკური საკითხები. საერთოდ, ძალიან სისულელედაც რომ მოეჩვენოს ნებისმიერ მკითხველს ასეთი სახის განცხადებები, იგივე ევროპელი მკითხველისთვისაც.

– სანამ თქვენ დაგიკავშირდებოდით, ვეძებდი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე განცხადებას, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხიც კი არ არის გაცემული. ეს რას ნიშნავს?

– არ ვიცი. შესაძლოა, გასცენ პასუხი, მაგრამ, არა მგონია, ეს სწორი იყოს. პასუხი უნდა იყოს გაცემული, თანაც – არგუმენტირებული. არ არის საჭირო ალიაქოთის ატეხა და პროვოკაციებზე წამოგება, მაგრამ ინფორმაცია იმ წუთში უნდა იყოს უარყოფილი და გამოვლენილი ამ ინფორმაციის გავრცელების მიზანი.

– ხომ არ გგონიათ, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას ეს მიზანიც არ ჰქონდა, რომ რაღაც პროვოკაციაზე წამოგვაგონ?

– შეიძლება, ასეთი ჩანაფიქრიც იყოს. პროვოკაციაზე წამოგება ყოველთვის რომ უნდათ და რომ გვემუქრებიან, ეს ასეა. მათ უნდათ ჟენევის ფორმატის შესუსტება, რათა ზედმეტი კითხვები არავინ დაუსვან. რუსეთს ისიც აღიზიანებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, ევროკავშირი და ეუთო ასე აქტიურად წარუძღვებიან რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგს. რუსეთს ურჩევნია, ჩვენთან ერთი ერთზე ისაუბროს. ნებისმიერი საერთაშორისო მონაწილის ასეთ საკითხებში მონაწილეობას ჩარევად თვლის რუსეთის ინტერესების არეალში. ეს მესიჯი არ შეიძლება მხოლოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთში გაჩენილიყო. ეს იქნებოდა რუსეთთან შეთანხმებით. ეს პოლიტიკა, რა თქმა უნდა, მთლიანად შემუშავებულია და შეთანხმებულია სრულად. ალბათ 90% რუსეთის სამსახურებშია შემუშავებული. ასე რომ, ეს მესიჯი არ იქნება მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მესიჯი. იმ მომენტში რამდენად დაგეგმილი იყო, არ ვიცი. შესაძლოა, კითხვა დაუსვეს და ამან მოიტანა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ერთ-ერთი ნაბიჯი ჩვენი მხრიდან უნდა იყოს საერთაშორისო ტრიბუნაზე ასეთი ფაქტებზე რეაგირება და საერთაშორისო დღის წესრიგზე იყოს ატანილი?

– რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორია, მისი წარმოშობა და განვითარება, ტერიტორიული საკითხები ყველასთვის უნდა იყოს ცნობილი როგორც ევროპაში, ისე მთლიანად მსოფლიოში. შეუძლებელია, ყველა ქვეყნის მიმართ იყოს თავს მოხვეული ისტორია და ასწავლოს, რას და როგორ ფლობდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა ვეცადოთ, რომ მათ ჩვენ შესახებ წარმოდგენები ჰქონდეთ, ინფორმაცია ერთხელ მაინც ჰქონდეთ მოსმენილი, რა იყო საქართველო, რა არის და რა ეკუთვნის. ასეთი ინფორმაცია უნდა არსებობდეს.

რა თქმა უნდა, არის სენსიტიური საკითხებიც. რომლებმაც, შესაძლოა, ჩვენი მეზობლებიც გააღიზიანოს, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავიწყებთ ძალიან აქტიურად ამის კომუნიკაციას. მაგრამ, შეიძლება, ტაქტიანად და თავშეკავებულად საქართველოს ისტორიის წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე, რათა ასეთი სახის მესიჯებმა დაკარგოს სერიოზულობა და აქტუალობა.

– დღეს ვერ არის საქართველოს საკითხი იმ დონეზე, რა დონეზეც საჭიროა, რომ იყოს საერთაშორისო ტრიბუნაზე?

– რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ ეს ასეა. მაგალითად, გვახსოვს, როდესაც პუტინი გამოვიდა და თქვა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არასდროს ყოფილა საქართველოს ნაწილი, მე მგონია, რომ ამის გარშემო მაშინ უნდა ყოფილიყო საუბრები და უფრო მეტად უნდა წარმოჩენილიყო ისტორიული დოკუმენტები, მეტი საინფორმაციო პოლიტიკა ყოფილიყო. შესაბამისი საინფორმაციო პოლიტიკა პუტინის ამ განცხადებას არ მოჰყვა. ეს თითქოს ჰაერში და პასუხგაუცემელი დარჩა. ხშირ შემთხვევაში ბევრი რაღაც ასე ჰაერში რჩება.

სხვა სახელმწიფოები და სხვა ერები ასე არ იქცევიან. ყოველთვის რეაგირებენ. მაგალითად, შეხედეთ თურქეთს. ვინმემ განაცხადოს მის ტერიტორიაზე რაიმე პრეტენზია. ათასგვარ ინფორმაციას გაავრცელებს და დემარშებს მოაწყობს, საპროტესტო ნოტებსაც გაუშვებს და ა.შ. თურქეთიც კი ამას გააკეთებს, რომელიც იმპერია იყო და შედგენილი სახელმწიფოა, როგორც მოგეხსენებათ, საუკუნეების განმავლობაში დაპყრობების შედეგად ჩამოყალიბებული სახელმწიფოა. ისიც კი არ მისცემს ვინმეს საშუალებას, ათქმევინოს, ეს ტერიტორია შენ არ გეკუთვნის ან ვიღაცის ტერიტორიაა ესო.

მით უმეტეს აქტიური უნდა იყოს საქართველო ამ თვალსაზრისით, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ტერიტორიებს კარგავდა და კარგავდა. არავის ტერიტორიას არ ეპოტინება, არც ერთი მისხალი მიწა საქართველოში არ არის ვინმეს ტერიტორია. გამოგონილი პრეტენზიები, რა თქმა უნდა, არსებობდეს. ეს კარგად უნდა იყოს მიწოდებული საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და მთლიანად ალბათ ჩვენთვისაც. ჩვენც კარგად უნდა ვიცოდეთ ეს საკითხები.

– ანუ ქვეყნის შიგნითაც საჭიროა საინფორმაციო კამპანია?

– დიახ. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, ჩვენმა მოქალაქეებმაც. თუ ისინი თავს პატრიოტებად გრძნობენ, რა თქმა უნდა, თავიანთი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდნენ, როგორ ჩამოყალიბდა ეს ქვეყანა, რა ტერიტორიებს მოიცავდა წარსულში და რა ტერიტორიებს მოიცავს ახლა. თუ სადმე რამე პრეტენზია არსებობს, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, სამართლიანია თუ არა.

კახა კუკავა: „საქართველოში ქაოსი იწყება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ის ხელისუფლებაში არ იქნება, ყველა ის ადამიანი, რომლებსაც დაავალა, ვინც გააგზავნა, ვინც ეს სიბინძურეები გადაიღო და ატვირთა, ისინი ხომ ყველანი ალაპარაკდებიან?! თუ ჰგონია, რომ ივანიშვილს ბოლომდე შეუნახავენ ამ საიდუმლოს? ყველა ალაპარაკდება და ეს გახდება იმის საფუძველი, რომ ის პინოჩეტივით დაასრულებს. რასაც ის დღეს აკეთებს, არის საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენი. ბესელიაც გააგრძელებს ცხოვრებას ამ ქვეყანაში და სხვებიც, ასე თუ ისე, გადავურჩებით ამ რეჟიმს, ივანიშვილს კი მოუწევს მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ დანაშაულებისთვის ფასის გადახდა.

– თუმცა გვესმის შეფასებები „ოცნების“ რიგებიდან, ეს გააკეთეს ჩვენმა ოპონენტებმა, რათა დარტყმა ჩვენ მიგველოო. ისევ ნაციონალებისკენ იშვერენ ხელს. ეს რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ?

– ასე არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ, ასეც რომ იყოს, მაშინვე უნდა გადადგეს „ქართული ოცნება“. თუ შენ ხელისუფლებაში მოსვლიდან მეშვიდე წლისთავზე არაფრის კონტროლი ამ ქვეყანაში არ შეგიძლია და ისევ ნაცმოძრაობა მართავს ყველაფერს, გადადექი და თქვი, რომ არ შეგიძლია. ეს საერთოდ ანეკდოტია, თუმცა სინამდვილეში არანაირ ნაციონალურ მოძრაობას ეს არ გაუვრცელებია.

– ასე დარწმუნებული რატომ ხართ?

– ეს იქიდანაც ჩანს ძალიან კარგად, რომ პირველად არ ხდება. თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ ეს ვიღაცამ ივანიშვილის ნებართვის გარეშე გაავრცელა, როგორც კირკიტაძე დაიჭირეს და 24 საათში ჩააგდეს ციხეში, როგორც შს მინისტრმა თქვა, ახლაც ამ დამნაშავეებს დაიჭერდნენ, ჩააგდებდნენ ციხეში და იქნებოდა უმკაცრესი რეაგირება. მაგრამ, ხომ ვხედავთ, ყველა ჯერზე როგორ ჩაფარცხეს. ეს ძალიან მძიმე თემაა, განსაკუთრებით თუ ქალბატონს ეხება. ეს საქართველოა, იმაზე უფრო მძიმედ აღიქმება, ვიდრე იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება, რასაც მიშა აკეთებდა. ნებისმიერი ადამიანი გეტყვით, რომ ურჩევნიათ, იარაღი და ნარკოტიკი ჩაუდონ ჯიბეში, ვიდრე ასეთი კადრები გამოქვეყნდეს. ეს ძალიან მძიმე დანაშაულია.

– მოხდება ამ საქმეების გამოძიება?

– როგორც სააკაშვილის რეჟიმის წასვლის შემდეგ ციხის კადრები გახდა გამოძიების ერთ-ერთი მთავარი თემა, როგორც კი ივანიშვილის რეჟიმი დაემხობა, მე ვფიქრობ, უნდა წარიმართოს დამოუკიდებელი გამოძიება ამ სექსუალური კომპრომატების საქმეების გამოსაძიებლად, არა მარტო იმიტომ, რომ ივანიშვილმა და მისმა ბანდამ აგონ პასუხი, არამედ, ისე უნდა დაისაჯონ, რომ აღარავის გაუჩნდეს მსგავსი დანაშაულის ჩადენის სურვილი. საჯაროდ უნდა გასამართლდნენ, რომ მსგავსი რამ თავში არავის მოუვიდეს! ათწლეულები უნდა მიესაჯოთ მათ იმისთვის, რომ ეს სიბინძურე თავში აზრად არავის მოუვიდეს. პოლიტიკოსები ვართ და ვცხარდებით, მაგრამ, არ მახსოვს, ყველაზე მწვავე დაპირისპირების დროსაც კი ვინმეს მსგავსი რამ ეკადრა. არავის თავში ასეთი სიბინძურე არ მოსვლია, რაც ივანიშვილს მოუვიდა! ამიტომ ის უნდა დაისაჯოს სამაგალითოდ. ამასთან შედარებით პოლიტიკური პატიმრობა თუ სხვა სასჯელი არაფერია. ბევრად მძიმე ფორმაა წამების ის, რასაც ივანიშვილი აკეთებს, ვიდრე სააკაშვილი აკეთებდა.

– ანუ არ დაემორჩილა ბესელია ივანიშვილს და ურჩი თანაგუნდელი ასე დასაჯა? მისი მორალურად გატეხა მოინდომა?

– რა თქმა უნდა. თუმცა ეს მეთოდი ძალიან უვარგისია პოლიტიკურ ბრძოლაში. ეს რომ მეთოდი იყოს, მაშინ არ დაემხობოდნენ კორუმპირებული და ავტორიტარული რეჟიმები. ასეთი მეთოდით შენ შეიძლება, ერთი ადამიანი გატეხო, ორი, მაგრამ, როდესაც რეჟიმს სჭირდება კომპრომატების გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, ეს არის იმის აღიარება, რომ რეჟიმი გაკოტრებულია. ეს რომ ასე არ იყოს, ბუნებრივია, პოლიტიკურ ოპონენტებს ასეთ დიდ ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ კომპრომატებს იყენებენ არა ოპოზიციის, არამედ საკუთარი ფრაქციის წევრების წინააღმდეგ. იმდენად გაკოტრებულები არიან, რომ დღეს ივანიშვილის მხარდამჭერები არიან მხოლოდ კობახიძე, ზარდიაშვილი და მისთანები, აბსოლუტურად მორალისაგან გარეცხილი ადამიანები. მე ვფიქრობ, რაც მოხდა, ძალიან მნიშვნელოვანია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ხდება ნიღბის ჩამოხსნა, რეჟიმის ლუსტრირება. მე გავიარე ეს. 7 წელი ჩემთვის ადვილი არ იყო, როდესაც ვიყავი ივანიშვილის ოპოზიცია და მახსოვს ივანიშვილის მმართველობის პირველი წლები, როდესაც არავის ჩემი არ ესმოდა. როცა ვამბობდი, რომ ეს ადამიანი არის ქვეყნის პრობლემა, როცა ვამბობდი, რომ არაფორმალური მართვა ქვეყანას დაღუპავს, არავის ესმოდა ჩემი. მე და ნათელაშვილი ვიყავით მხოლოდ ორი „გიჟი“ ქვეყანაში, ვინც ამაზე ვლაპარაკობდით. წლები დასჭირდა ამას. ეს ადვილი არ იყო. დღეს საკუთარი თანაგუნდელები დაუპირისპირდნენ. ეკა ბესელია ხომ უბრალო თანაგუნდელი არ არის? ის პირველი დაუდგა გვერდით ივანიშვილს. პირველ ხუთ კაცში იყო ეკა ბესელია. როდესაც ეკა ბესელიას წინააღმდეგ ასეთ რამეს კადრულობს, ეს ძალიან კარგი ლუსტრირებაა საზოგადოებისთვის, რომ დაინახონ, ეს მეცენატი და სამების ამშენებელი რეალურად რასაც წარმოადგენს.

გია გაჩეჩილაძე: „მოსამართლეებმა უკვე მეჯისმეჯი მოინდომეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის უმრავლესობის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო გიორგი, პარლამენტის უმრავლესობის წევრის პირადი ცხოვრების ამსახველი, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დამზადებული ფარული ჩანაწერის გავრცელება თქვენ რუსეთსა და სააკაშვილს დაუკავშირეთ. რა ლოგიკას ხედავთ ამაში, ან ამგვარ ვერსიაში ლოგიკა არის?

– ეს შეიძლება პროვოკაცია იყოს, რათა სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდეს. არასამთავრობო სექტორს მოვუწოდებ, ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ.

– რატომ უნდა ვიყოთ ფრთხილად?

– რადგან ჩვენ სერიოზული პრობლემები გვაქვს იმ ქვეყანასთან, რომელსაც საქართველოში თავისი ინტერესები აქვს. მან ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და იქ სამხედრო ბაზები წამოჭიმა. ვსაუბრობ რუსეთზე, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი გეოპოლიტიკური ფუნქციის განადგურებით. ეს ყველამ იცის.

– ჩვენს შიდა საქმეებში რუსეთი ამ დონეზე შეიძლება ჩაერიოს?

– მაგაზე მარტივი გასაკეთებელი რა არის? არსებობს ინტერნეტის გლობალური ქსელი. შეგიძლიათ, დაჯდეთ კოლუმბიაში ან რომელიღაც კუნძულზე რომელიმე ინტერნეტკაფეში შეხვიდეთ და იქიდან ატვირთოთ, ვინმეს ჩაუგდოთ ვიდეო ან იუთუბზე დადოთ რაღაც საშინელება, თუ ეს ხელთ გაქვთ.

პირადი ცხოვრების ფარული ჩანაწერები რომ არსებობდა, დედამიწის ზურგზე ყველამ იცის. 10 ათასობით ფაილი არსებობდა, რომელიც 2013 წელს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გაანადგურა.

– მგონი, 26-27 ათასი ფაილი იყო ნაპოვნი.

– მხოლოდ კასრებში 17 ათას 500 აუდიო-ვიდეო ფაილია აღმოჩენილი. ფარული ჩანაწერების ამსახველი აუდიო-ვიდეო ფაილების რაოდენობა 26 ათასი იყო. მარტო 4 კასრში 403 დისკი აღმოაჩინეს. ამის გარდა, კიდევ იყო ასეთი მასალები. მასალებზე ასახული გახლდათ პოლიტიკოსების, ჟურნალისტების პირადი ცხოვრება.

აუდიო-ვიდეო ფაილები რკინის კასრებში შენახული აღმოაჩინეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ძირითადი კომპრომატების, კასრებში აღმოჩენილი აუდიო-ვიდეო ფაილების ასლები გადაიღო მან, ვინც ის ჩანაწერები გააკეთა, შემდეგ კი რომელიმე სპეცსამსახურს მიჰყიდა ან თვითონ წაიღო, სადაც აგდია ახლა. ამის საშუალებით ქმნიან მძიმე სიტუაციას.

– ამით რის მიღწევა უნდათ?

– პირდაპირ გეტყვით, ვისაც დასავლეთის პოლიტიკურ სისტემასთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს, კარგად იცის, რა რეაქციები მოჰყვება ამგვარ სიტუაციებს დასავლეთში. მე ვარ ევროპის მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს წევრი. აქ რომ რამე ამდაგვარი ატყდება ხოლმე, იქ ამას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისთვის მთავარი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხებია. თუ გინდა იმ სახელმწიფოს დისკრედიტაცია, რომელიც ევროკავშირისა და ნატოსკენ მიისწრაფვის, მთავარი დისკრედიტაციის ღერძი უნდა იყოს ადამიანის უფლებების შელახვა. აქ უნდა შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ დასავლეთში – შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში შეიქმნას წარმოდგენა, რომ აქ ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავენ. ამიტომ ყველაზე სერიოზული საკითხია პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გავრცელება.

– სპეცსამსახურებისა და რუსეთის როლზე როცა საუბრობთ, გულისხმობთ იმას, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს მიჰყიდეს აუდიო-ვიდეო მასალა, რომელიც გადაღებულია საქართველოს პოლიტიკური სპექტრის კომპრომეტაციისთვის?

– მე როგორ შემიძლია ეს ვთქვა. თუმცა, სააკაშვილის პირობებში საქართველოში რუსეთი ისე გაძლიერდა ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, რომ სამხედრო ბაზებიც კი აღადგინა (რომელიც გაყვანილი იყო და 2008 წლის შემდეგ შემოიყვანეს). როდესაც სააკაშვილი თავის ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ხელისუფლებაში იყო, რუსეთის ინტერესებს ატარებდა ქვეყანაში.

ამიტომ, ბუნებრივია, არ გამოვრიცხავ, გარკვეული ასლები რუსეთის სპეცსამსახურებს გადასცეს. ამაში გასაოცარი და უცნაური რა უნდა იყოს იმის შემდეგ, რაც ნაცმოძრაობამ საქართველოში ჩაიდინა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთის სახელმწიფო კომპანიებს გადასცეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რუსეთი ამ რეგიონში გაძლიერებულიყო. რუსეთს ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გადაცემა რომ მოეთხოვა, უარს ეტყოდნენ?

– ბატონო გიორგი, რუსეთი და სააკაშვილი კიდევ გვმართავენ ან ცდილობენ, რომ თავისებურად გვმართონ?

– საუბარი არ არის მართვაზე. დესტაბილიზაციის მცდელობაა. ამას სააკაშვილი არც მალავს. ხომ ხედავთ, ამსტერდამიდან რაებს ლაპარაკობს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ნაცმოძრაობამ რუსეთიდან ჩამოიყვანა კრემლთან დაახლოებული პიარტექნოლოგები.

– შკლიაროვებზე საუბრობთ?

– დიახ, რუსეთის უშიშროების ოფიცერი იყო პრეზიდენტობის კანდიდატი. ეს ხომ არ დაუმალავთ. ამას სააკაშვილიც უჭერდა მხარს, რასაც მოაყოლეს შეიარაღებული ხალხიც. კიდევ კარგი, საქართველოს სპეცსამსახურებმა მიხედეს და 7 ბოევიკი დააპატიმრეს. ეს ხალხი თავის იარაღთან ერთად არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოიყვანეს.

დედამიწის ზურგზე ყველამ იცის, თუ გინდა, ქვეყანაში მოახდინო რაღაც უბედურება, როდესაც ხალხი ქუჩაში შეიკრიბება, იქ ვიღაცამ რაღაც უბედურება უნდა ჩაიდინოს. ამის შემდეგ ხდება ტალღის აგორება და დესტაბილიზაცია. ეს არის უმარტივესი სქემა. ვისაც საქართველოში უცხოვრია და მეხსიერება შერჩა, გაიხსენოს საქართველოს ისტორია, დაწყებული ზვიად გამსახურდიადან, დამთავრებული შევარდნაძით.

– მნიშვნელოვანი არ არის ის, თუ რა ნიადაგი ხვდება საქართველოში რუსეთსა თუ სააკაშვილს? ეკა ბესელიას კომპრომეტირების მცდელობა მოჰყვა სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ ვითარებას და ამასთან დაკავშირებით უმრავლესობაში გაჩენილ უთანხმოებას. რატომ ვერ მოხერხდა იმ ნაღმის განეიტრალება 2013-2014 წლებიდან მოყოლებული დღემდე, რაც იდო სასამართლო ხელისუფლებაში?

– რატომღაც არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახლა ძალიან ღელავენ, 2013-2014-2015 წლებში ამაზე საუბრობდნენ.

არასამთავრობო სექტორი, რომელიც ახლა ამ საქმეში მედროშეა, არაფერს ამბობდა იმაზე, სააკაშვილის სასამართლო სისტემა „ოცნების“ მოსვლის შემდეგ უცვლელად რომ გადმოვიდა. ახლა რატომ დადგა ეს საკითხები, განსაკუთრებით, არასამთავრობო სექტორის მხრიდან?

– რატომ?

– იმიტომ, რომ მოსამართლეების ამ კონტინგენტმა გაასამართლა ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნები. დაიჭირა მერაბიშვილი, ახალაია და სხვები. იმ ხალხმა, რომელიც სააკაშვილმა მოიყვანა სასამართლო სისტემაში, თვითონ სააკაშვილი და მისი მაღალჩინოსნები გაასამართლა. ამით ნაცმოძრაობამ და მასთან ასოცირებულმა ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაინახა, რომ, ფაქტობრივად, ნაცმოძრაობამ ყველანაირი გავლენა დაკარგა სასამართლოზე. ამის შემდეგ ატყდა ეს ამბები.

– სასამართლოს თაობაზე განხეთქილება უმრავლესობაში არ მოხდა? ის მოსამართლეები, რომლებიც ეკა ბესელიას შვილს, ძმასა და სხვებს უკანონოდ ასამართლებდნენ, ახლა უკვე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად გამწესებისთვის ჰყავდათ გამზადებული. ეკა ბესელია და მისი თანამოაზრეები ამიტომ არ აღშფოთდნენ?

– გეთანხმებით. ვფიქრობ, მოსამართლეებმა უკვე ნამეტანი მოინდომეს. მათ საკუთარი თავები უზენაეს სასამართლოში უვადოდ გასამწესებლად წარმოადგინეს. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეობის კანდიდატებად ყოველგვარი სპეციალური შერჩევის გარეშე წარმოადინა. ეს იყო ზღვარი, რომელიც მათ გადალახეს, ნამეტანი მოინდომეს და ამას მოჰყვა ყველაფერი.

– რომ არ ყოფილიყო პარლამენტში გარკვეული ჯგუფის პროტესტი, ხომ მისცემდნენ ხმას? თქვენი პოზიცია როგორი იყო?

– 76 ხმა, რომელიც სჭირდება მოსამართლეების გამწესებას უზენაეს სასამართლოში, პარლამენტში არ არსებობდა.

– ისე გამოვიდა, წლების განმავლობაში თეა წულუკიანი თავისი რეფორმებით ხალხს ასულელებდა. პირადად მეც მეგონა, რეალური რეფორმები ტარდებოდა და სასამართლო სისტემა სახელშელახული მოსამართლეებისაგან გასუფთავდებოდა. რეფორმის პირველი ტალღა, მეორე ტალღა, მესამე ტალღა პიარდებოდა. შედეგი?

– საქმე ის არის, ამის სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს.

– სამართლებრივი მექანიზმი უნდა შექმნა. პარლამენტში თქვენ ხართ. პარლამენტი, აბა, რისთვის არის საჭირო?

– ამ მოსამართლეებს რომ დაერიო, ძალადობა იხმარო, როგორ გამოვა.

– არ დაგეთანხმებით.

– მოსამართლეების გათავისუფლების მექანიზმი არ არსებობს და არც არავის უთქვამს. თქვენ გაგიგიათ, რამე მექანიზმი არსებობს იმისთვის, რომ ეს მოსამართლეები სამართლებრივად ჩამოაშორო სისტემას?

– ხომ შეიძლებოდა, მოსამართლეების დანი შვნის კრიტერიუმები ადრე შემოეღოთ, სანამ სააკაშვილის მსახურ და სახელგატეხილ მოსამართლეებს გადმონერგავდნენ?

– მურუსიძე ხომ პარლამენტს არ დაუნიშნავს უვადოდ?

– ბატონო გიორგი, მურუსიძე პარლამენტს არ დაუნიშნავს, მაგრამ კანონი ხომ მიიღეთ, რომლის საფუძველზეც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უვადოდ გაამწესა?

– კანონი ჩვენ კი არ მივიღეთ, კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. იურიდიულ წიაღსვლებში ნუ შემიყვანთ.

– ის მაინც შეგიძლიათ აღიაროთ, რომ ამ გზაზე შემოთავაზებული რეფორმებით შეცდომები იქნა დაშვებული, რაც გამოიყენა იმ კლანმა, რომელიც სასამართლოში სააკაშვილის დროიდან არსებობდა და ახლაც არსებობს?

– როგორც მე ვიცი, ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა, მაგალითად, ხალხის (კიდევ 300 მოსამართლეა, რომელიც სააკაშვილის დროიდან მოდის) სასამართლოდან გაშვება, ძალადობრივი მექანიზმებია. ხელისუფლებას რაღაც ძალადობრივი მექანიზმები უნდა გამოეყენებინა და ისინი გაეყარა სასამართლოდან.

– თუ აკვირდებით, იმ 300 მოსამართლის გაყრას არავინ ითხოვს. საუბარია 15-20-25 მოსამართლეზე. ისინი მართავდნენ სასამართლოს და სააკაშვილის შეკვეთებს სრულებდნენ.

– როგორც მე ვიცი, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სწორედ ის 300 მოსამართლე ირჩევს.

– გასაგებია, მაგრამ სხვანაირადაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო.

– როგორც ჩანს, არ შეიძლებოდა. ეს რა კავშირშია იმასთან, რასაც მე ვლაპარაკობ. სხვა რაღაც ხდება. უმრავლესობის სხდომაზე ორი დღე გრძელდებოდა ამ საკითხის განხილვა. ყველაფერი დარეგულირდა, ყველა კმაყოფილი იყო. შევთანხმდით, რომ კანონში ახალი კრიტერიუმები გაიწერება. ეკა ბესელიაც კმაყოფილი იყო. ვიღაცამ რომ დაინახა, უმრავლესობაში არეულობა არ მოხდა, პარტიიდან არავინ გარიცხეს. ამიტომ, ისეთი საშინელი რამ გააკეთეს, რომელმაც პირდაპირ სახელმწიფოს დაარტყა.

– ეკა ბესელია ამბობს, რომ უმრავლესობის შიგნით არის ჯგუფი, რომელიც შიგნიდან ანგრევს უმრავლესობას. თქვენთვის ეს შესამჩნევი არ არის?

– არ ვიცი, მე ვერ ვხედავ ამას. უმრავლესობაში ვიღაც თავისი თავის საზიანოდ აკეთებს ამას? ვინმე ფიქრობს იმას, თუ უმრავლესობა დაინგრა, რა მოჰყვება ამას? რა ლოგიკაა. არასამთავრობოები რომ იძახიან, ხელისუფლება აკეთებს ამასო, ხელისუფლება თავის საწინააღმდეგოდ მოქმედებს? საკუთარი თავის დისკრედიტაციას ახდენს? რა სისულელეა.

„ხელისუფლება კანონის სახელით ძარცვავს მოქალაქეებს“

მარიამ ქელბაქიანი: „2 თვეში 5 სამინისტროში 1.604.487 ლარის პრემია-დანამატი გაიცა“

შორენა მარსაგიშვილი

მაშინ, როცა მოსახლეობის ნაწილი საჭმელს ნაგვის ბუნკერებში ეძებს, ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ თავს პრემია-დანამატებით ანებივრებენ. დამატებითი შემოსავლებით გაქსუებული ჩინოსნები ხალხის გაჭირვებას ვეღარ ამჩნევენ და უნამუსოდ ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში სიღარიბე თითქმის დაძლეულია და ახლა მასზე გენერალურ შეტევას ახორციელებენ.

როგორი მეთოდებით „ებრძვის“ ხელისუფლება სიღარიბეს, ეს კარგად ჩანს მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში.

„მედიატორის“ წარმომადგენელი მარიამ ქელბაქიანი „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 5 სამინისტროში გაცემულმა პრემია-დანამატებმა ჯამში 1.604.487 ლარი შეადგინა.

კვლევაში ჩანს, რომ ყველაზე დიდი თანხა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიცა, რამაც ჯამში 627.784 ლარი შეადგინა, ამ თანხიდან 602.784 ლარის პრემია, ხოლო 25.000 დანამატი იყო.

მეორე ადგილს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იკავებს, სადაც პრემიის რაოდენობამ ჯამში 501.551 ლარი შეადგინა, აქედან 357.350 ლარის პრემია შტატიან თანამშრომლებზე იყო გაცემული, ხოლო 143.825 – შტატგარეშეებზე.

მესამე ადგილზე განათლების სამინისტროა, სადაც ჯამში 276.462 ლარი გაიცა, აქედან 193.303 ლარის პრემია შტატიან თანამშრომლებს მისცეს, ხოლო 81.365 – შტატგარეშეებს.

მეოთხე და მეხუთე ადგილზე იუსტიციის სამინისტრო და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი იმყოფებიან. იუსტიციის სამინისტროში ჯილდომ 130.090 ლარი შეადგინა. სახელმწიფო მინისტრის აპარატში 22.950 ლარის დანამატი და 45.690 ლარის ჯილდო გასცეს.

– ყველას კარგად გვახსოვს მთავრობის დანაპირები, რომ სამინისტროებში, პრემიასა და დანამატს აღარ გასცემდნენ, ვინაიდან მათ დანამატი „დააკანონეს“, რაც თავის თავში ხელფასის გაორმაგებას გულისხმობს. ამის შემდეგ მათი დეკლარირებული პოზიცია იყო, რომ პრემია და დანამატი, რომელსაც ახლა უწოდეს ჯილდო, მხოლოდ დასაბუთების შემთხვევაში გაიცემოდა, თუმცა მანკიერი პრაქტიკა გრძელდება და ხელისუფლება განაგრძობს კანონის სახელით მოქალაქეების ძარცვას, რაც გულისხმობს იმას, რომ დანამატის ნაცვლად ახლა პრემიასა და ჯილდოს გასცემენ.

მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ მოუწოდებს ხელისუფლებასა და ამ კონკრეტულ უწყებებს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, აიკრძალოს პრემიის, დანამატისა და ჯილდოს გაცემა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებსაც კი არ მიგვიწვდება ხელი იმ ინფორმაციაზე, სადაც აისახება კონკრეტული თანამშრომლის მუშაობა, თუ რისთვის იღებს ის პრემიას, დანამატს ან ჯილდოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სავარაუდოდ, ეს თანხები გაცემულია არა რაიმე კონკრეტული სამუშაოსთვის წასახალისებლად, არამედ წინასაარჩევნოდ კარგად მომუშავე თანამშრომლებისთვის, რომლებიც მთლიანად ჩართულნი იყვნენ სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ქელბაქიანი.

გიგა ბუკია: „პატარა პარტიებს თავის გადასარჩენად პარლამენტის არჩევის ის წესი უნდა აწყობდეთ, რომელიც 2020 წლისთვის შემუშავდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საარჩევნო საკითხებსა და სხვა პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას**

– 30-მდე პარტია მოითხოვს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით გაიმართოს. ამ მიზნით იგეგმება მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის გადასინჯვისათვის.

– როცა საარჩევნო საკითხებზე ვმუშაობდით, უამრავი კონსულტაცია და სამუშაო შეხვედრა გავმართეთ როგორც პარლამენტის უმრავლესობის შიგნით, ისე მოსახლეობასთან და ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან. შეძლებისდაგვარად მოხდა პოზიციების შეჯერება. ჩვენ მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. იმაზე, თუ რომელი სისტემაა საუკეთესო – პროპორციული, მაჟორიტარული თუ შერეული, მსოფლიოში ერთიანი ხედვა არ არსებობს.

– პროპორციული არჩევნები 2 024 წელს გაიმართება, მანამდე კი ისევ შერეული სისტემა იმოქმედებს, რაც ოპოზიციის პროტესტს იწვევს.

– ამ არჩევნებისათვის რჩება მაჟორიტარული სისტემა, დაიშვება ბლოკები, ბარიერი 3%-იანია. პატარა პარტიებს თავის გადასარჩენად ეს წესი უნდა აწყობდეთ. მაჟორიტარები აძლიერებენ პარტიებს. არ მესმის იმ პარტიების მოტივაცია, რომლებსაც ზღურბლის გადალახვის შანსი არა აქვთ.

– მათი განცხადებით, პირველ ადგილზე გასულ ძალას მაჟორიტარების ხარჯზე იმაზე მეტი მანდატი მიაქვს, ვიდრე ეკუთვნის.

– ამ პარტიების უდიდეს უმრავლესობას დამოუკიდებლად გამარჯვება არ შეუძლია. მათთვის საჭიროა ბლოკები. დაწინაურებული ძალები ძლიერდებიან მაჟორიტარებითაც. არ მესმის, რატომ უნდა უნდოდეთ პროპორციული არჩევნები ბლოკების გარეშე. ასე ეს პარტიები ვერაფერს მიაღწევენ.

– თუ პროპორციული სისტემა ამ არჩევნებისათვის დაწესდა, ბლოკები აიკრძალება?

– ყოველ შემთხვევაში, ასე გვიწერია კონსტიტუციაში 2024 წლის არჩევნების შესახებ. თუ პროპორციული სისტემა უნდათ, მაშინ ბლოკები არ უნდა იყოს. ამ წესით პარლამენტში მოხვედრა შეუძლიათ ნაციონალურ მოძრაობას და, თუ წინა არჩევნების შედეგით ვიმსჯელებთ, „ევროპულ საქართველოს“. შეიძლება, კიდევ ერთ პარტიას. მათი პრეტენზიები კიდევ გასაგებია, მაგრამ არ მესმის დანარჩენების მოტივაცია. იქნებ, ყველამ სათითაოდ ახსნას, ვის რა უნდა.

– 2020 წლის არჩევნებისათვის მოქმედი კანონმდებლობით უფრო მეტი ხვდება პარლამენტში?

– რასაკვირველია. არჩევნებისათვის კონსერვატორებიც მოვემზადებით. თუ პროპორციული სისტემა იქნა, ეს ჩვენთვის ძალიან რთული არჩევნები იქნება.

– რომ მოუწიოს პარლამენტს კონსტიტუციის გადახედვა?

– ვფიქრობ, რომ ამის თეორიული შანსი ნაკლებია. ახლანდელ წესს, ნაცმოძრაობის გარდა, სხვები არ უნდა გმობდნენ. დანარჩენი პარტიებისათვის ეს მისაღები უნდა იყოს.

– მაჟორიტარული არჩევნების ახლავე გაუქმების მოთხოვნას დაემთხვა ენ დი აი-ს მორიგი კვლევის შედეგების გამოქვეყნება. ამ კვლევით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ იცნობს თავის მაჟორიტარებს.

– ენ დი აი-ს კვლევების მონაცემები ზოგიერთ ნაწილში რეალურია, ზოგიერთში კი სრულიად აცდენილია სინამდვილეს. პოლიტიკური კომპონენტი ყოველთვის საეჭვოა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ეს მონაცემები არჩევნებში მიღებულ შედეგს არ ემთხვევა.

– ფიქრობთ, რომ რა პრეტენზიებიც არ უნდა ჰქონდეს ამომრჩეველს, მან მაჟორიტარის გვარი მაინც უნდა იცოდეს?

– ცხადია. პრეტენზიები მაჟორიტარების მიმართ არსებობს. ამას ვერ უარვყოფთ, მაგრამ, ვერ დავიჯერებ, რომ გამოკითხულთა დიდი რაოდენობა არაფრის აზრზე არ იყოს და გვარები არ იცოდეს.

– იქნებ, გამოკითხულები არჩევნებზე არ მისულან?

– დაახლოებით 50% მივიდა და ხმა მისცა. გამოდის, რომ ადამიანებმა არ იციან, ხმა ვის მისცეს? ეს ხალხის შეურაცხყოფაა. მაშინ, ადამიანს ან პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს, ან უვიცია. სინამდვილეში, ასე არ არის. ჩვენი ხალხი ქვეყნის ბედით, პოლიტიკით ინტერესდება და ასეთი უცოდინარიც არ არის. ეს მონაცემი სწორად არ მიმაჩნია.

– როგორ ფიქრობთ, 2020 წლის არჩევნებისათვისაც იქნება ფარული ჩანაწერებისა და პოლიტიკოსების პირადი ცხოვრებით და შანტაჟების ფაქტები? ეს ამ დღეებშიც აქტუალურია.

– სამწუხაროა, რომ არსებობს ასეთი ჩანაწერები და უსინდისო ხალხი ამას იყენებს. არ ვიცი, რაში მდგომარეობს მათი მიზანი. შეიძლება, ეს ფინანსებია ან პოლიტიკური ზრახვები. კარგად ვიცით, როდის კეთდებოდა ამგვარი ჩანაწერები და ვინ უთვალთვალებდა საკუთარ მოქალაქეებს. უბედურება ის არის, რომ ჩვენ ამაზე კანონმდებლობა გავამკაცრეთ, მაგრამ ეს ისევ ხდება.

– კანონის გამკაცრებამ საქმეს ვერ უშველა?

– რაც უნდა გაამკაცრო კანონი ამა თუ იმ მუხლში, სხვადასხვა დანაშაული, იქნება ეს მკვლელობა, ძარცვა თუ შანტაჟი, მაინც ხდება. უზნეო ადამიანები სარგებლობენ ციფრული ტექნოლოგიებით და ამორალურად იქცევიან. ამ დანაშაულის გახსნაც რთულია. ვერ ვნახე ადამიანი, რომელსაც ეკა ბესელიაზე გავრცელებული კადრები სოციალურ ქსელებში ნანახი აქვს.

– თქვენს კოლეგა დავით ჭიჭინაძეს, ჟურნალისტ ნინო ჟიჟილაშვილსა და სხვებს აქვთ ნანახი.

– დავით ჭიჭინაძეზე ვიცით. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ამას ზოგიერთები ხელისუფლებას აბრალებენ. ხელისუფლებისთვის ამგვარი რამე ზიანის მომტანია და ის ამას რატომ გააკეთებდა!

– ფარული კადრებით ომს საპარლამენტო არჩევნებისთვისაც მოელით?

– ისეთი გულისამრევი იყო კამპანია საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომ ბინძური ხერხების გამოყენებას არც მომავალი არჩევნების დროს გამოვრიცხავ. კონკურენტები არ თაკილობდნენ ტყუილს, შეურაცხყოფას, დამცირებას. ვწუხვარ, რომ ადამიანები ამას კადრულობენ. ვიცი, რომ ეს არც ხალხს მოსწონს. ალბათ, მოსახლეობა ადეკვატურ პასუხს გასცემს იმათ, ვინც ყველაფერს კადრულობს.

– დაბოლოს, თქვენი ვარაუდით, „ქართული ოცნება“ დაიშლება?

– მმართველ პარტიებში ადრე მომხდარა ცვლილებები. არ არის გამორიცხული, რომ „ქართული ოცნებაც“ დადგეს ამის წინაშე. დარწმუნებული ვარ, „ოცნებას“ საპარლამენტო უმრავლესობა მაინც ექნება.

– თუ დაიშლება, რომელ განაყოფს ექნება უმრავლესობა, ან რომელი პარლამენტის უმრავლესობა გაქვთ მხედველობაში?

– პარტიიდან ჯგუფის ან ჯგუფების გამოყოფა არ ნიშნავს პარტიის დანგრევას. უმრავლესობა ექნება იმ დიდ ნაწილს, რომელიც დარჩება და რომელთანაც იქნება ბიძინა ივანიშვილი. მხედველობაში ახლანდელი პარლამენტიც მაქვს და მომავალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოც. ყოველმა ჩვენგანმა, რაც უნდა ვისაუბროთ ჩვენს როლზე წარსულის მოვლენებში, მას ვერ გავუტოლდებით. „ქართული ოცნება“ პოლიტიკაში მოვიდა და არჩევნებში იმარჯვებს ბიძინა ივანიშვილის ღვაწლითა და დამსახურებით. მომავალ არჩევნებშიც ასე იქნება. თუ რომელიმე ჯგუფი „ოცნებას“ გამოეყოფა, არც ამაშია ტრაგედია. ეს პოლიტიკურ პროცესებს არ ავნებს, პირიქით, გააჯანსაღებს.

ვახტანგ ხმალაძე: „ჩვენ ახლავე უნდა გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე“

ოპოზიცია ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

ნათია ხურცილავა

„შენების მოძრაობის“ წევრი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **ვახტანგ ხმალაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო სისტემებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიცია ერთი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას აპირებს საარჩევნო სისტემის ცვლილების მოთხოვნით. რამდენად რეალურია, 2024 წელს ასამოქმედებელი პროპორციული სისტემა 2020 წელს ამოქმედდეს, როგორც ამას ოპოზიცია ითხოვს?

– კანონპროექტის ინიციატორებს კანონი 200.000 ხელმოწერის წარდგენას გვავალდებულებს. ჩვენ გვინდა ბევრად მეტი ხელმოწერის შეგროვება, რათა ეს იყოს არა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივა, არამედ ეს იყოს, ფაქტობრივად, რეფერენდუმი.

– ანუ პოლიტიკური განაცხადი?

– დიახ. კონსტიტუციის ცვლილებებზე რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება, მაგრამ ერთი მილიონი ხელმოწერის შეგროვება, ერთი მილიონი იდენტიფიცირებული ადამიანის მოთხოვნის წარდგენა ხელისუფლებისთვის თავისი შინაარსით რეფერენდუმის ტოლფასი იქნება.

ამით გვინდა ვაჩვენოთ ყველას და არა მხოლოდ ხელისუფლებას, რომ საქართველოს საზოგადოების უდიდესი ნაწილი პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ახლავე ითხოვს და არა 2024 წელს, როგორც ეს კონსტიტუციაშია ჩაწერილი. ეს უკვე ხელისუფლებას უჩენს მორალურ ვალდებულებას, რომ ის დაფიქრდეს თავის გადაწყვეტილებაზე. როდესაც ხელისუფლება ამომრჩევლის ასეთ მოთხოვნას ეწინააღმდეგება, ეს მას აუცილებლად შემოუბრუნდება. მომავალ წელს არჩევნებია და ამომრჩეველიც სათანადო დასკვნებს გააკეთებს. ეს უფრო იქნება მორალური ზემოქმედება ხელისუფლებაზე, დასკვნები კი მან უნდა გააკეთოს.

– როგორ მოხდა საერთოდ შერეული საარჩევნო სისტემის შემოღება, როგორ დათანხმდა ამას კომუნისტური პარტია თავის დროზე და როგორი იყო პირველი შერეული არჩევნები, ამის შესახებ ჩვენ ვწერდით. რა შეგიძლიათ გვითხრათ პროპორციული სისტემის უპირატესობაზე?

– პროპორციული სისტემა ერთადერთი სისტემაა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ პარლამენტში პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი იყვნენ ისეთივე პროპორციით, როგორი პროპორციითაც მათ ამომრჩეველი უჭერს მხარს. მაგალითად, მხოლოდ მაჟორიტარული სისტემა რომ იყოს, სავსებით რეალურია, რომ პარლამენტი მთლიანად ერთმა პარტიამ დააკომპლექტოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მხარდამჭერთა რაოდენობა იყოს 20%-25%. საკმარისია, ერთმა პარტიამ ყველა მაჟორიტარულ ოლქში სხვებზე მეტი ხმა მიიღოს, რომ ჩვენ მივიღოთ პარლამენტი, რომელიც არ იქნება საზოგადოების განწყობების ადეკვატური.

1990 წლიდან მოყოლებულ არჩევნებს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ პარტიებს მანდატების რაოდენობა ბევრად მეტი ჰქონდათ, ვიდრე ეს ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუ მანდატები პროპორციულად განაწილდებოდა.

მაგალითად, გერმანიაში შერეული საარჩევნო სისტემა მოქმედებს, მაგრამ გერმანიის კანონი ამბობს, რომ პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების შედეგით მიღებული მანდატების რაოდენობა ჯამურად უნდა იყოს პროპორციული იმ პროცენტისა, რომელიც პარტიამ პროპორციულ არჩევნებში მიიღო. ერთი სიტყვით, მანდატების არითმეტიკული შეკრება არ ხდება, როგორც ჩვენთან. ეს არის მთავარი პრობლემა.

როდესაც პარლამენტში პარტიას ბევრად მეტი წარმომადგენლობა ჰყავს, ვიდრე მხარდამჭერები, ეს ყოველთვის არის პოლიტიკური არასტაბილურობის ხელშემწყობი, რადგან საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ამ დროს, როგორც წესი, უკმაყოფილოა ხელისუფლების გადაწყვეტილებების და ხელისუფლებაც ანგარიშს არ უწევს ოპოზიციური საზოგადოების მოთხოვნებს. ეს, ცხადია, სერიოზულ პრობლემას წარმოშობს. ამ მოვლენას თავი რომ ავარიდოთ, საჭიროა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. პროპორციული სისტემის ამოქმედების შემთხვევაში კი ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ერთ პარტიას არ ჰქონდეს არათუ კონსტიტუციური უმრავლესობა, არამედ უბრალო უმრავლესობაც კი.

– სწორედ ამაზე უნდა გკითხოთ – თავის დროზე ირაკლი კობახიძე პოლიტიკური სტაბილურობით აპელირებდა, რომ ერთი პარტია ვერ დააკომპლექტებს მთავრობას და ის ბონუსს ითხოვდა. როგორც ვხედავი, ყველა ხელისუფლება იმიტომ ერიდება პროპორციულ სისტემას, რომ ისინი მარტო ვერ დააკომპლექტებენ მთავრობას და ამიტომ აკეთებენ პოლიტიკურ არასტაბილურობაზე აქცენტს. თქვენი არგუმენტი რა არის?

– ეს არასწორი მიდგომაა. პოლიტიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს ის მთავრობა და ის პარლამენტი, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესებს გამოხატავს. შერეული სისტემა იწვევს სწორედ პოლიტიკური არასტაბილურობის განწყობებს და არა ის, რომ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს არა ერთპარტიული მთავრობა, არამედ კოალიციური.

– პროპორციული სისტემის დროს კოალიციური მთავრობების ალბათობა ძალიან მაღალია, მაგალითად, როგორც ევროპაში.

– დიახ. მაღალი ალბათობით, ერთი პარტია ვერ იღებს უმრავლესობას და მას უწევს კოალიციის შეკვრა სხვა პარტიებთან. ხშირ შემთხვევაში ორ პარტიას, ზოგჯერ კი უფრო მეტს უწევს კოალიციაში გაერთიანება უმრავლესობის მოსაპოვებლად.

თუ ისე მოხდა, რომ მათ ვერ შეძლეს კოალიციის შექმნა, შესაბამისად, კოალიციური მთავრობის ფორმირება, მაშინ ინიშნება რიგგარეშე არჩევნები, ის პარლამენტი უნდა დაიშალოს და უკვე ამომრჩეველი მიიღებს გადაწყვეტილებას.

– ბატონო ვახტანგ, შეიძლება, ასე დადგეს საკითხი, რა ჯობია, საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობდეს პარტია თუ კოალიციას ვერ ქმნიდეს, მერე ინიშნებოდეს რიგგარეშე არჩევნები და ა.შ.

– მთავარია ერთი რამ: პარლამენტში წარმომადგენლობა საზოგადოების განწყობების პროპორციული იყოს. ეს არის მთავარი თუნდაც პოლიტიკური სტაბილურობისთვის. სტაბილურობის გარანტი მხოლოდ პროპორციული წარმომადგენლობაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს არ შეიძლება, თუნდაც კოალიციის შექმნის კრიზისი წარმოიქმნას და რიგგარეშე არჩევნები გახდეს საჭირო. რიგგარეშე არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობა მაინც დგება. მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ პოლიტიკური კრიზისი გაგრძელებულიყოს.

– მძიმე პოლიტიკური მოლაპარაკებების ხარჯზე და ა.შ.

– ეს სხვა საქმეა. როდესაც პარტიას აქვს უმრავლესობა, მით უფრო, საკონსტიტუციო, მას ყველა შემთხვევაში უწნდება ამბიცია – როგორც მინდა, ისე მოვიქცევი. ის იღებს იმ გადაწყვეტილებებს, როგორიც მას უნდა, მიუხედავად იმისა, როგორია საზოგადოებაში წინააღმდეგობა. ეს კი კარგ შედეგს არასდროს იძლევა.

– ასეთი პოლიტიკური არგუმენტიც მომისმენია, თუმცა, არ ვიცი, რამდენად სწორია, რომ ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა რეფორმების გასატარებლად სჭირდება. მახსოვს, ნაციონალური მოძრაობა ასე ამართლებდა საკონსტიტუციო უმრავლესობას.

– დიახ, არადა, ამ დროს მაღალია ალბათობა, რომ რეფორმები შეცდომით ჩატარდეს. ეფექტიანი ხელისუფლების მიზანი კი არის, შეცდომების რისკი მინიმალური იყოს. სააკაშვილის ხელისუფლებამ როგორ დაამთავრა?! მან დაიწყო არაერთი სწორი რეფორმა, მაგრამ თავში აუვარდა და ისეთი რაღაცები აკეთა, რამაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის პროტესტი გამოიწვია, რის გამოც ხელისუფლება დაკარგა კიდეც.

თუ ასეა, მაშინ ყველაზე ეფექტიანი ხელისუფლების ფორმა დიქტატურაა. უარი ვთქვათ დემოკრატიაზე და დავამყაროთ დიქტატურა, მაგრამ, ყველამ იცის, მისი შედეგები რაც არის.

ქუთაისში ეკლესიისთვის შეწირული ქათმები მოიპარეს

ქუთაისში ავანგარდის სასაფლაოდან ქათმები მოიპარეს. როგორც ცნობილია, მოპარულია 20 ქათამი, რომელიც სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიის შემოწირულობას წარმოადგენდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დამნაშავე პირი დაკავებულია.

Kutaisitoday.com

რუსთავში კაცმა ველოსიპედი მოიპარა, ავარიაში მოყვა და სასწრაფოს მანქანიდან გაიქცა

რუსთავში, რუსთაველისა და ბათუმის ქუჩების კვეთაზე, „ბეემვეს“ მარკის მსუბუქი ავტომობილი ველოსიპედით მოძრავ 38 წლის მამაკაცს დაეჯახა. ინფორმაციას „ინფორუსთავი“ ავრცელებს.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, ველოსიპედით მოძრავი მამაკაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ველოსიპედის მეპატრონის თქმით, მას მეზობელმა ველოსიპედი მოჰპარა და შემდეგ ავარიაში მოყვა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ველოსიპედით მოძრავი მამაკაცი დაშავდა. დაშავებული სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, როგორც „ინფო რუსთავს“ სამედიცინო დაწესებულებაში განუცხადეს, დაზარალებული სასწრაფო დახმარების მანქანიდან გაიქცა.

ტრაგედია ლაგოდეხში — ავარიას 5 წლის ბავშვი ემსხვერპლა

მსხვერპლით დასრულდა გვიან ღამით მომხდარი ავარია ლაგოდეხში. თვითმხილველთა ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 5 წლის ბავშვი ადგილზე დაიღუპა. მძიმე მდგომარეობაში არიან გარდაცვლილის ოჯახის წევრები. სამი ადამიანი ლაგოდეხის „არქიმედეს კლინიკაში“ რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ჭიდაობის ფედერაციის ხარჯებთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურმა პროკურატურას მიმართა

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა. აღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით კი აუდიტის სამსახურმა პროკურატურას მიმართა.

როგორც „ნიუპოსტს“ პროკურატურაში განუცხადეს, ხარჯებს შეისწავლიან და დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოხდება.

დასკვნაში ნათქვამია, რომ ე.წ. წამახალისებელი ვიქტორინა 2016 წლის ფალავნობაში ჩასატარებელი ღონისძიების ფარგლებში უნდა გამართულიყო, რისთვისაც ფედერაციამ 4300 ლარის ღირებულების 12 მობილური ტელეფონი შეიძინა. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, მობილურები შეძენილია 20 დეკემბერს, თუმცა თავად შეჯიბრება 16-17 დეკემბერს გაიმართა. „წამახალისებელი ვიქტორინა“, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებული მაყურებლები უნდა გამოვლენილიყვნენ, საერთოდ არ გამართულა.

2016 წლის ფალავნობაში ჩასატარებელი ღონისძიების დაფინანსების მიზნით, სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას შორის 2016 წლის 11 მარტს გაფორმებული გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, სამინისტროში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, 2016 წლის 5 დეკემბერს ფედერაციას ჩაერიცხა 22.300 ლარი. სამინისტროში 2016 წლის დეკემბერში წარდგენილი საავანსო ანგარიშის შესაბამისად, გრანტის თანხიდან 2016 წლის 20 დეკემბერს შესყიდულია 4.300 ლარის ღირებულების 12 ცალი მობილური ტელეფონი.

ტელეფონების შესყიდვის მიზნით, ი/მ ნატო ბოჭორიშვილს 4.300 ლარი გადაერიცხა 2016 წლის 16 დეკემბერს. სასაქონლო ზედნადები გამოწერილია 2016 წლის 23 დეკემბერს, მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 2016 წლის 20 დეკემბერს, ფალავნობის ღონისძიება კი ჩატარდა 2016 წლის 16-17 დეკემბერს და, შესაბამისად, ვიქტორინის გამართვა და გამარჯვებულების დაჯილდოება უნდა მომხდარიყო ამავე პერიოდში.

ჩამოწერის აქტის შესაბამისად, 4.300 ლარის ღირებულების საჩუქრების გამარჯვებულ მაყურებელზე გადაცემას ხელმოწერებით ადასტურებს ფედერაციის გენერალური მდივანი, პირველი ვიცეპრეზიდენტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფედერაციის გენერალური მდივნისა და ვიცეპრეზიდენტის წერილობითი განმარტებებით კი აღნიშნულ ჩამოწერის აქტზე მათი ხელმოწერები არ არის. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებით არ დასტურდება ვიქტორინის ჩატარების ფაქტი. არ არის განსაზღვრული ვიქტორინის თემატიკა და არ არის შემუშავებული მისი გამართვისა და გამარჯვებულის გამოვლენის წესი. ჩამოწერის აქტით არ ხდება ვიქტორინაში გამარჯვებული პირების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, არ დასტურდება მათზე ტელეფონის აპარატების გადაცემის ფაქტი. დასკვნა: მოცემული ხარჯვითი ოპერაცია შეიცავს ფიქტიური ოპერაციის ნიშნებს და ზრდის თაღლითობის რისკებს, – აღნიშნულია აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

ყაჩაღობა რუსთავში — სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ე.მ. დააკავეს. დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 30 იანვარს რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მაღაზიის გამყიდველს დანის მუქარით 300 ლარი და მობილური ტელეფონი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ე.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში რუსთავში დააკავეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

თბილისში 4 მანქანის გაქურდვის ფაქტზე არასრულწლოვანი დააკავეს

პოლიციამ თბილისში 4 მანქანის გაქურდვის ფაქტზე არასრულწლოვანი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, არასრულწლოვანი – 2001 წელს დაბადებული გ.ჭ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის იანვარში თბილისში, ნიკოლოზ ჩხეიძის ქუჩაზე, მოქალაქეების კუთვნილი 4 ავტომანქანა გაქურდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა გ.ჭ. თბილისში დააკავეს. გამოძიება არაერთგზის ჩადენილ ქურდობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თბილისში ქურდობის მცდელობის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში ქურდობის მცდელობის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი ორი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისან-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი, ქურდობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



გამოძიებით დადგინდა, რომ 1958 წელს დაბადებული დ.ს. და 1974 წელს დაბადებული ლ.ა. მიმდინარე წლის 31 იანვარს, თბილისში, ისნის რაიონში, 9 ავტომანქანის გვერდითა ხედვის სარკეების მოპარვას ცდილობდნენ, რა დროსაც სამართალდამცველებმა ისინი ადგილზე დააკავეს.

პოლიციამ ავტომანქანებიდან მოხსნილი გვერდითა ხედვის სარკეები შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო. ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის მცდელობას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

პეკინის გამზირზე გაზის ქურა აფეთქდა

პეკინის გამზირზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, გამოძიება სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ელექტრო ან გაზის ობიექტის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ამ ეტაპზე დაუდგენელი მიზეზით თბილისში პეკინის №30-ში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს, სავარაუდოდ, აუფეთქდა ქურა. ადგილზე დაუყოვნებლივ მოხდა პოლიციის, სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების თანამშრომლების მობილიზება. მომხდარის შედეგად დაშავდა ერთი მამაკაცი, რომელსაც სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები არ მიუღია. მას ადგილზე ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება და შემდგომი სამედიცინო კვლევებისთვის გადაყვანილია საავადმყოფოში. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ამერიკის დაზვერვა: რუსეთი კიბეროომისათვის ემზადება!

მეორე ცივი ომი უკვე რეალობაა. ამერიკის ნაციონალური დაზვერვის აზრით, აშშ-ის უმთავრესი მოწინააღმდეგენი რუსეთი და ჩინეთი არიან. ორივე ცდილობს, თავისი სამხედრო ძლიერება განავითაროს, მაგრამ, პირველი ცივი ომისაგან განსხვავებით, ახლა უმთავრესი აქცენტი კიბეროპერაციებზე გაკეთდება.

– შედეგად სრულიად ახალი სიტუაცია იქმნება, – ნათქვამია ამერიკის ნაციონალური დაზვერვის მოხსენებაში.

პირველი ცივი ომის დროს ცხადი იყო, რომ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სერიოზული პროვოკაცია შესაძლოა ბირთვული კონფლიქტის საბაბი გახდეს. კიბეროპერაციები კი ქმნის ცდუნებას, თითქოს სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელია და ამას არავითარი კონფლიქტი არ მოჰყვება. ამისი ნათელი დადასტურებაა 2016 წლის ამერიკულ არჩევნებში რუსების ჩარევა. ნაციონალური დაზვერვის ანალიტიკოსების აზრით, უახლოეს ხანებში მსგავსი ხასიათის ოპერაციები გახშირდება.

– რუსეთის სპეცსამსახურები საამისოდ გულდასმით ემზადებიან, – ნათქვამია ნაციონალური დაზვერვის მოხსენებაში.

აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილების ყოფილი უფროსის მოვატ ლარსენის აზრით, ამერიკის ნაციონალური დაზვერვის მოხსენების გამოქვეყნება მიზნად ისახავს რუსების გაფრთხილებას. მოსკოვში უნდა დაინახონ, რომ ამერიკელებმა მათი ზრახვების შესახებ შესანიშნავად იციან. ვაშინგტონი ბრწყინვალედაა ინფორმირებული იმაზეც, თუ რა შეუძლია ამ ეტაპზე რუსეთის სპეც-სამსახურებს. დიახ, რუსეთს ძალუძს, მიაღწიო იმას, რომ ამერიკის ამა თუ იმ რეგიონში დენი გაითიშოს ან რაიმე მსგავსი პრობლემა შეიქმნას. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ ასეთი ქმედებები ამერიკელების კონტრრეაქციას გამოიწვევს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

– დღეს აშშ რუსეთზე ბევრად ძლიერია. ეს თანაბრად შეეხება როგორც ეკონომიკას, ასევე სამხედრო სფეროსაც. შესაბამისად, რუსეთის კიბერომს გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს, – მიიჩნევს მოვატ ლარსენი.

ამერიკელი კონტრმზვერავის აზრით, რუსეთის ინტერესებში არა აშშ-სთან კონფრონტაცია, არამედ პარტნიორობაა. ჩინეთთან ალიანსი რუსეთს კარგს არაფერს მოუტანს. ე.წ. ევრაზიული ბლოკის შექმნა, რომლის საფუძველიც რუსეთ-ჩინეთის ალიანსი იქნება, მოსკოვისათვის საშიშია. ჩინეთი, რუსეთისაგან განსხვავებით, მზარდი ქვეყანაა. რუსეთ-ჩინეთის ალიანსიც მოსკოვს პეკინის ღარიბ სატელიტად გადააქცევს. გაცილებით მომგებიანია ვაშინგტონთან პარტნიორობა, ოღონდ საამისოდ მოსკოვმა თავის აგრესიულ კურსზე უნდა უარი თქვას, შეწყვიტოს ძალისმიერი ზეწოლა მეზობლებზე და ცივილიზებული წესებით ითამაშოს.

– ეს რუსეთის ინტერესებშია, – ამბობს მოვატ ლარსენი.

ტრამპი ამერიკის დაზვერვის დასკვნებს არ ეთანხმება

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არ ეთანხმება ამერიკის სადაზვერვო თანამეგობრობის დასკვნებს გლობალური საფრთხეების შესახებ. ამერიკელი მზვერავები ჩრდილოეთ კორეის დე-ნუკლერიზაციის საკითხს სკეპტიკურად ეკიდებიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ფხენიანი ბირთვულ იარაღზე უარს არ უტყვის, რადგანაც ეს იქ არსებული რეჟიმის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. ტრამპი კი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კორეის დე-ნუკლერიზაცია რეალურია.

პრეზიდენტი ამერიკელი მზვერავების პოზიციას არც სირიასა და ირანთან მიმართებით იზიარებს. ტრამპი მიიჩნევს, რომ სირიაში ისლამური ტერორიზმი პრაქტიკულად დამარცხებულია. ამერიკელი მზვერავები კი ამტკიცებენ, რომ იქ ისლამისტებს რამდენიმე ათასი მებრძოლი კიდევ დარჩათ და ტერორიზმის აღორძინებაც შესაძლებელია. ირანთან მიმართებით ტრამპი თვლის, რომ ამ ქვეყნისაგან მომდინარე საფრთხე რეალურია. ამერიკელი მზვერავები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ ბირთვული იარაღის შესაქმნელად ირანს წლები დასჭირდება.

განსხვავებულია პოზიციები ავღანეთთან მიმართებითაც. ტრამპის აზრით, თალიბანთან მოლაპარაკებები კარგად მიდის. ავღანური კომპანიის დამთავრების პერსპექტივაც რეალურია. ამერიკელი მზვერავები კი მიიჩნევენ, რომ ისლამური ექსტრემიზმის პრობლემა ავღანეთში მწვავედ დგას. ამერიკის ჯარის გამოყვანაც ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს.

ტრამპმა ამერიკელი მზვერავებით უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა:

– ჩვენი დაზვერვის თანამშრომლებმა კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ, – თქვა ტრამპმა.

რუსული თვითმფრინავი კარაკასიდან მოსკოვში გამოფრინდა

რუსული თვითმფრინავი, რომელიც ავიაკომპანია ჰორდწინდ-ს ეკუთვნოდა, ვენესუელიდან მოსკოვში გაფრინდა. ამის თაობაზე რადიო „თავისუფლება“ იუწყება.

ვენესუელის პარლამენტის დეპუტატი გერა ამტკიცებს, რომ თვითმფრინავით სურთ, ვენესუელის ოქროს მარაგის დიდი ნაწილი რუსეთში გაიტანონ.

– დადგენილია ვენესუელიდან 20 ტონა ოქროს გატანა, – ამტკიცებს გერა.

ჯერჯერობით უცნობია, მართლა გაიტანეს თუ არა რუსეთში ოქრო.

გენერალი რომანენკო: „რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის საფრთხე იზრდება!“

უკრაინის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი რომანენკო მიიჩნევს, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრისათვის ემზადება. გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს ინტერვენცია არ მოხდება.

– პუტინი იმიტომ იკავებს თავს, რომ რუსეთის არმიის დანაკარგი ძალიან დიდი იქნება, – ამბობს გენერალი.

რომანენკოს აზრით, ახლა რუსეთი ფსონს არჩევნებზე დებს. კრემლი ცდილობს, პრომოსკოვურმა ძალებმა მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიონ. ამის ალბათობა მცირეა. სავარაუდოდ, პრორუსული ძალები ვერც საპრეზიდენტო, ვერც საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევენ.

– მაშინ რუსეთს ერთადერთი გზა რჩება: ინტერვენცია, – ამბობს გენერალი.

რომანენკომ უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ მოემზადოს მოსალოდნელი საფრთხისათვის.

რუსეთი: „ფედერალური საბჭოს წევრს ორი მკვლელობა ედება ბრალად“

დაკავებულია რუსეთის ფედერალური საბჭოს წევრი ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან რაუფ არაშუკოვი. მას ბრალად ედება ორი მკვლელობა და დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა.

– არაშუკოვი მმართველი პარტია „ედინაია როსიას“ წევრია, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, არაშუკოვს პარტიის წევრობა შეუჩერდა. თავად არაშუკოვი ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ რუსებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, რადგანაც თავისი ხალხის ინტერესებს იცავდა. არაშუკოვმა პროტესტის ნიშნად რუსულად ლაპარაკზე უარი განაცხადა და მთარგმნელი მოითხოვა.

დაიწყო აშშ-ჩინეთის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი

აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დაიწყო. ამერიკულ დელეგაციას სათავეში რობერტ ლაიტჰაიზერი უდგას, ჩინურს – ვიცეპრემიერი ლაო ხე.

ექსპერტების აზრით, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას შესაძლოა ხელი შეუშალოს ჩინური გიგანტის ზოაწეი-ს გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა. როგორც ცნობილია, ამ კომპანიის ფინანსური დირექტორი მენ ვანჩჟოუ ვანკუვერში ამერიკული პროკურატურის მოთხოვნით დააკავეს. ვაშინგტონი მენ ვანჩჟოუს ირანის მიმართ დაწესებული სანქციების დარღვევას სდებს ბრალად. ჩინეთმა ამის თაობაზე ოფიციალური პროტესტი გამოთქვა.

თებერვალში აშშ-ჩრდილოეთ კორეის სამიტი გაიმართება

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ „ფოქს ნიუსს“ ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ თებერვალში აშშ-ჩრდილეთ კორეის სამიტი გაიმართება.

– ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეის დე-ნუკლერიზაცია იქნება, – ამბობს პომპეო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მიუთითა, რომ სამიტი აზიის ერთ-ერთ სახელმწიფოში გაიმართება. ექსპერტების აზრით, სამიტი ვიეტნამში შედგება.

მედვედჩუკმა რუსეთის გეგმა გაახმოვანა

რუსეთის გავლენის აგენტმა და პუტინის ნათესავმა (ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი მისი ქალიშვილის ნათლიაა) ვიქტორ მედვედჩუკმა განაცხადა, რომ დონბასის ომი სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს. საამისოდ კი აუცილებელია, შეიქმნას ავტონომიური რეგიონი დონბასი თავისი მთავრობითა და პარლამენტით.

– უკრაინა დონბასს მხოლოდ ამ გზით თუ შეინარჩუნებს, – ამბობს მედვედჩუკი.

მედვედჩუკის ამ სიტყვებმა მთელი უკრაინა აღაშფოთა. თანახმად უკანასკნელი გამოკითხვებისა, უკრაინელთა 80% დონბასის ავტონომიის წინააღმდეგია, 15%-ს ამ საკითხზე პოზიცია არ გააჩნია, ავტონომიის მინიჭების მომხრე კი მხოლოდ 5%-ია.

– მედვედჩუკმა თავისი შეფის ანუ პუტინის გეგმა გაახმოვანა, – მიიჩნევს უკრაინელი პოლიტოლოგი ფირსოვი.

გერმანიაში ტერორიზმში ეჭვმიტანილნი დააკავეს

გერმანიის პოლიციამ ერაყის სამი მოქალაქე დააკავა. მათ ბრალად ედებათ ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირი. სავარაუდოდ, მათი მიზანი გერმანიის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობა იყო.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

თურქეთი: „სასამართლომ აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი პატიმრობიდან გაათავისუფლა“

თურქეთის სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ჰამზა ულიუკაი. ადრე ის ტერორისტებთან კავშირში დამნაშავედ ცნეს.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ბრალდებულმა ოთხი წელი ციხეში გაატარა და მიიღო დადგენილება მისი გათავისუფლების შესახებ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველოს მორაგბეთა შანსი 6 ერში მოსახვედრად

მსოფლიო რაგბის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და საქართველოს ნაკრებისთვის ერთი სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელეს.

საქმე ის არის, რომ 2022 წლისთვის უნდა შეიქმნას მსოფლიო ლიგა. ერთია, ჯერ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი. კერძოდ, ცნობილია, რომ იქნება 2 დივიზიონი: პირველში ითამაშებს 12 ნაკრები – 6 ერის ყველა წარმომადგენელი, ასევე გუნდები 4 ერიდან, რომელთაც დაემატებათ ფიჯი და იაპონია. მეორეში რამდენი ნაკრები იქნება, ჯერ უცნობია. თუმცა, საქართველოს ნაკრები რომ მოხვდება, ამ ფაქტს ვერ გავექცევით.

ბორჯღალოსნები ისედაც რანგით ქვედა დივიზიონში, ანუ რაგბი ევროპაზე თამაშობენ და 6 ერის კარი დაკეტილი აქვთ. მაშ რით არის ეს ინფორმაცია ჩვენთვის სასარგებლო?

საქმე ის არის, რომ პირველ და მეორე დივიზიონებს შორის იქნება გავარდნა-აღმასვლის სისტემა, ანუ გუნდები, რომლებიც პირველ დივიზიონში ბოლო და მეორე დივიზიონში პირველ ადგილებს დაიკავებენ, ადგილებს გაცვლიან. შესაძლოა, ეს 2 გუნდი იყოს.

ეს საკითხი მოლაპარაკების მთავარ თემად რჩება. გავარდნა-აღმასვლის სისტემას აქტიურად უჭერს მხარს მსოფლიო რაგბის ორგანიზაციის ვიცეპრეზიდენტი აუგუსტინ პიშო.

გავრცელებული ცნობით, ორივე ტურნირში (6 ერი და რაგბის ჩემპიონატი) ნაკრებები ქულებისთვის იბრძოლებენ, რათა ორკვირიან ფინალურ პლეი ოფში ითამაშონ, რომელიც ევროპაში ნოემბერში გაიმართება.

იდეის ავტორებს მსოფლიო ლიგის ფინალის გამართვა ყოველ ნოემბერს ნეიტრალურ მოედანზე სურთ და სტადიონებიც შერჩეული აქვთ: ბარსელონის ნოუ კამპი, ლონდონური უემბლი და ბერლინის ოლიმპიაშტადიონი.

6 ერისა და რაგბის ჩემპიონატის გუნდები სეზონში ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან, რაც 11 ტესტს უდრის თითოეული მათგანისთვის.

ამ 11 მატჩიდან 5 იქნება შიდა პირველობის (ჩრდილოელებისთვის 6 ერი, სამხრეთელებისთვის რაგბის ჩემპიონატი) შეხვედრები, დანარჩენი 6-დან 3 შინ და 3 სტუმრად.

მაგალითისთვის: გაზაფხულზე 6 ერი გაიმართება, ზაფხულის 3 ტესტი და შემოდგომის 3 კი დანარჩენი 6 მატჩის გასამართავად გამოიყენება. უფრო კონკრეტულად კი, 6 ერზე ერთი ნაკრები ხუთივე მეტოქესთან ითამაშებს, როგორც ამას აქამდეც აკეთებდა, შემდეგ ზაფხულში გაემგზავრება სამხრეთში, შემოდგომით კი უმასპინძლებს სამხრეთელებს.

ივნისის ტესტები გადაინაცვლებს ივლისში (ეს უკვე 2020 წლიდან მოხდება), 6 ერი ისევ თებერვალ-მარტში გაიმართება. ნოემბრის ტესტების შემდეგ ჯერ ნახევარფინალები გაიმართება, ბოლოს კი – ფინალი.

სავარაუდოდ, მეორე დივიზიონშიც 12 გუნდი იქნება. ერთი ევროპაში, როგორც აქამდე რაგბი ევროპა იყო და აქ ჩვენი ნაკრები უდავოდ ფავორიტი იქნება, მეორე კი სამხრეთში, რომელსაც წყნარი ოკეანის თასი დაერქმევა. იქ სავარაუდოდ ითამაშებენ კანადა, სამოა, ტონგა და აშშ. ამ გუნდებთან მოხვედრის შანსი ამერიკის ჩემპიონსაც ექნება.

ვნახოთ, რა განცხადებას ავრცელებს მსოფლიო რაგბი:

– გაერთიანებების წარმომადგენლებთან და ხელმძღვანელობასთან ლოს-ანჯელესში პოზიტიური და პროდუქტიული შეხვედრების შემდეგ მსოფლიო რაგბი გააგრძელებს მუშაობას პოტენციური გლობალური ტურნირის ფორმატის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ამ შრომის მიზანია, რომ მივიღოთ გლობალური პროდუქტი და კომერციული მოდელი, რომლის წყალობითაც ყველა გაერთიანება არსებული ტურნირების ხარჯზე შექმნის ერთ ძლიერ ტურნირს და აითვისებს ივლისისა და ნოემბრის ფანჯრებს. მსოფლიო რაგბი მადლობას უხდის დაინტერესებულ მხარეებს ამ მნიშვნელოვან პროექტში შეტანილი წვლილისთვის, რომელსაც ნამდვილად აქვს პოტენციალი, გადაიზარდოს გაერთიანებებისთვის, მოთამაშეებისა და გულშემატკივრებისთვის საყვარელ ტურნირში.

ოთარ კიტეიშვილი: „მე მესი არ ვარ და ეს ვიცი“

ნაკრების ფეხბურთელი ოთარ კიტეიშვილი ავსტრიაში საკმაო პოპულარობით სარგებლობს. შტურმის გულშემატკივრები ქართველ შემტევს ლეო მესისაც კი ეძახიან.

ავსტრიულ მედიაში კიტეიშვილთან ინტერვიუ გამოქვეყნდა...

– სახლიდან შორს ასე დიდხანს პირველად ხარ. თავს როგორ გრძნობ?

– საწყისი ორი თვე ძალიან რთული იყო, მაგრამ ეს ნაბიჯი ჩემი საფეხბურთო კარიერის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ჩემი მეუღლეც ჩემთანაა.

– შტურმი ფეხბურთელებთან 4-წლიან კონტრაქტს ხშირად არ აფორმებს და თანხის გადახდასაც არ არის ჩვეული. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის იმის ცოდნა, რომ კლუბს მომავალი 4 წელი შენი იმედი აქვს?

– ვფიქრობ, რომ 4-წლიანი კონტრაქტი ფეხბურთში ნორმალურია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მენდობიან.

– საქართველოში ავსტრიის ბუნდესლიგას უყურებენ?

– ნაწილობრივ, დიახ. ზოგიერთი გაზეთი ბუნდესლიგის ცხრილსაც აქვეყნებს, ინტერნეტში კი მეტი შესაძლებლობაა.

– რა არის ავსტრიული და ქართული ფეხბურთის მთავარი განსხვავება?

– ავსტრიული ბუნდესლიგა უფრო ინტენსიურია, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატი. აქ ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია – განსაკუთრებით, ჩვენს გუნდში. ლიგაც ბევრად უკეთესია, ვიდრე საქართველოში, ეს ყველამ იცის, მათ შორის, ქართველებმაც.

– რა განსხვავებაა გრაცელ და თბილისელ ფანებს შორის?

– ცუდი ის არის, რომ საქართველოში ხალხი, უბრალოდ, არ დადის სტადიონზე, ტრიბუნები თითქმის არასდროს არის სავსე. თუმცა, ძალიან კარგი ფანები გვყავს. შტურმს კი არაჩვეულებრივები ქომაგები ჰყავს. ამ კუთხითაც ნამდვილად დიდი განსხვავებაა! აქ ფანები ყოველთვის იმპულსს გვაძლევენ და გვეხმარებიან! როცა აქაური ფანები პირველად აიაქსის წინააღმდეგ ვნახე, შესანიშნავი გრძნობა დამეუფლა.

– თქვენს მატჩებს თბილისში საშუალოდ რამდენი გულშემატკივარი ესწრებოდა?

– როდესაც ეროვნული გუნდი თამაშობს, ტრიბუნები ყოველთვის სავსეა. საქართველოს ნაკრები ყოველთვის ავსებს სტადიონს, რომელიც ძალიან დიდია და 55.000 მაყურებელი ეტევა. ჩემპიონატის მატჩებს კი 1.000-დან 2.000-მდე ადამიანი ესწრება.

– როგორ აფასებენ გრაცში შენს თამაშს? ზოგიერთი უკვე გეძახის „ახალ მესის“.

– ამას ხანდახან სოციალურ ქსელში ვნახულობ. მესის ყველა იცნობს და ის შესანიშნავია, მაგრამ მე მესი არ ვარ და ეს ვიცი. თუმცა, კარგი გრძნობაა, როდესაც ასეთ ფეხბურთელს გადარებენ.

– შტურმის ერთ-ერთმა ლიდერმა პეტერ ზულიმ კარგი გზა გაიარა და გუნდს დაემშვიდობა. დინამოში დიდი პასუხისმგებლობა ახალგაზრდა ასაკში უკვე გქონდა. ახლა იმავეს აღებას გრაცშიც აპირებ?

– ჩემი აზრით, ზული გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ის წავიდა და ეს ჩვენთვის კარგი არ არის, თუმცა მუშაობა უნდა გავაგრძელოთ და ყველა ფეხბურთელმა, ჩემი ჩათვლით, პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ. მე პირადად ყველაფერს გავაკეთებ.

– შენმა თანაგუნდელმა იაკობ იანჩსტერმა გვითხრა, რომ, მისი აზრით, შტურმში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი ხარ, რომლის გამოც გულშემატკივარი სტადიონზე მოდის.

– მართლა ასე თქვა? ის ძალიან კარგი ბიჭია, რომელიც ხშირად ხუმრობს. თუ ეს სერიოზულად თქვა, მადლობას ვეტყვი, ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

– გრაცში დარჩენას დიდხანს აპირებ თუ ამ კლუბს უკეთეს ლიგაში ტრამპლიდან აღიქვამ?

– ამაზე ახლა არ ვფიქრობ, შტურმში ჩემი პოტენციალის გამოსავლენად მოვედი, პირველ რიგში აქაური საქმე უნდა გავაკეთო და მომავალზე შემდეგ ვიფიქრებ. შესაძლოა, აქ დიდხანს დავრჩე ან სხვა ვარიანტები გამოჩნდეს.

– მსოფლიოს წამყვან ლიგაში თამაშზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. შენი საოცნებო ადგილი სად არის?

– ლა ლიგა.

– რატომ?

– ბარსელონისა და ესპანური ფეხბურთის დიდი ფანი ვარ. გერმანული ბუნდესლიგაც შესანიშნავია.

– ვინ არის შენი მისაბაძი მაგალითი?

– ფეხბურთში ყოველთვის ლიონელ მესი, მაგრამ, არა იმიტომ, რომ ვიღაცები მესის მეძახიან.

საქართველომ გერმანია დაამარცხა

საქართველო. გერმანია 5:1

თბილისი. ოლიმპიური სასახლე

1:0 რონინიო (პ), 2:0 სოზერი (სკ), 3:0 საიოტი, 4:0 სეფისკვერაძე, 5:0 საიოტი, 5:1 ერდემი

საქართველო: კუპატაძე, რონინიო, სიმი საიოტი, თალესი, სეფისკვერაძე;

სათადარიგო შემადგენლობა: ბუკია, თოფურია, კეკელია, თოდუა, ჯვარაშვილი, ფუმასა, ზედელაშვილი, კურტანიძე, ნიყვაშვილი;

გერმანია: პლესი, ვიტინგი, ჰოფმანი, ჰაინცე, ჰიროსავა;

სათადარიგო შემადგენლობა: ვიგელსი, შნიტცერლინგი, ჰოფმანსი, ფიშერი, მეიერი, სეპი, სოზერი, საგლამი, ერდემი

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო. ავთანდილ ასათიანის გუნდმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გერმანიას უმასპინძლა და 5:1 დაამარცხა.

მატჩის დაწყებამდე საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების კაპიტან დავით ბობოხიძეს, რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა, სფფ-ის ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა და საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა ლევან ცქიტიშვილმა სიმბოლური ჯილდოები გადასცეს. ფუტსალის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა ეროვნული გუნდის მაისურით 65 შეხვედრა ჩაატარა და 35 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოსა და გერმანიის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირებას, მატჩი ქართველი ფეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა. ჩვენმა ნაკრებმა მატჩის ბედი პირველი ტაიმში გადაწყვიტა. ანგარიში მე-11 წუთზე გაიხსნა, სიმი საიოტის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად რონინიომ შეასრულა. ამ გოლიდან ზუსტად 2 წუთში საქართველოს ნაკრების უპირატესობა ორამდე გაიზარდა, არჩილ სეფისკვერაძის დარტყმული ბურთი საკუთარ კარში სოზერმა ჩაჭრა. შეხვედრა ქართველთა შეტევებით გაგრძელდა და მე-17 წუთზე სიმი საიოტიმ მესამედ აიღო მეტოქის კარი.

შეხვედრის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა, თამაშს საქართველოს ნაკრები აკონტროლებდა და მეტოქე ძირითადად კონტრშეტევებზე ცდილობდა სახიფათო მომენტების შექმნას. გოლები მატჩის მიწურულს გავიდა, 32-ე წუთზე უძლიერესი მოჭრილი დარტყმით გერმანელებს არჩილ სეფისკვერაძემ გაუტანა. მალევე, 33-ე წუთზე კი, დუბლი სიმი საიოტიმ გაიფორმა. საბოლოო ანგარიში 39-ე წუთზე გერმანიის ნაკრებმა დააფიქსირა, საკუთარი გუნდის რამდენიმესვლიანი კომბინაცია შედეგიანი დარტყმით ჰაკან ერდემმა დაასრულა.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის დ ჯგუფის მეორე შეხვედრაში ერთმანეთს დანიისა და ისრაელის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფრედ 1:1 დასრულდა.

პირველი ტურის შემდეგ ჯგუფს 3 ქულით საქართველოს ეროვნული ნაკრები ლიდერობს, 2-3 ადგილებს თითო ქულით დანია და ისრაელი იყოფენ, გერმანიის ნაკრები კი ბოლო ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას 2 საუკეთესო გუნდი მოიპოვებს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲠᲗᲘᲛᲘᲠᲘᲒᲘᲐ

ბორნმუთი-ჩელსი	4:0
საუთჰემპტონი-კრ.პალასი	1:1
ლივერპული-ლესტერი	1:1
ტოტენჰემი-უოტფორდი	2:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ლივერპული	23	19	3	1	54-13	60
2.სიტი	24	18	2	4	63-19	56
3.ტოტენჰემი	24	18	0	6	50-24	54
4.არსენალი	24	14	5	5	50-33	47
5.ჩელსი	24	14	5	5	40-23	47
6.მანჩესტერი	24	13	6	5	48-35	45
7.ვულვზი	24	10	5	9	30-31	35
8.ევერტონი	24	9	6	9	35-33	33
9.უოტფორდი	24	9	6	9	33-34	33
10.ბორნმუთი	24	10	3	11	37-42	33
11.ლესტერი	24	9	5	10	30-30	32
12.ვესტ ჰემი	24	9	4	11	30-37	31
13.ბრაიტონი	24	7	5	12	27-36	26
14.ნიუკასლი	24	6	6	12	21-32	24
15.ბარნლი	24	6	5	13	25-45	23
16.კრ.პალასი	24	6	5	13	24-33	23
17.საუთჰემპტონი	24	5	8	11	26-41	23
18.კარდიფი	24	5	4	15	20-46	19
19.ფულემი	24	4	5	15	25-53	17
20.ჰადერსფილდი	24	2	5	17	13-41	11

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲗᲐᲡᲘ

ბეტისი-ესპანიოლი	3:1(დდ)
ბარსელონა-სევილია	6:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

რეგენსბურგი-პადერბორნი	2:0
ჰამბურგი-ზანდჰაუზენი	2:1
დინამო-არმინია	3:4
ჰაიდენჰაიმი-კილი	2:2

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲗᲐᲡᲘ

ფიორენტინა-რომა	7:1
ატალანტა-იუვენტუსი	3:0

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

ნანტი-სტ.ეტიენი	1:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.პსჟ	20	18	2	0	66-11	56
2.ლილი	22	13	4	5	36-22	43
3.ლიონი	22	11	7	4	36-25	40
4.სტ.ეტიენი	22	10	7	5	33-26	37
5.სტრასბური	22	9	8	5	38-25	35
6.მონპელიე	21	9	8	4	28-16	35
7.ნიცა	22	9	7	6	18-19	34
8.მარსელი	21	9	4	8	34-31	31
9.რეიმსი	22	7	10	5	18-20	31
10.რენი	22	8	6	8	30-31	30
11.ნიმი	22	8	5	9	30-32	29
12.ბორდო	21	7	7	7	23-23	28
13.ტულუზა	22	6	8	8	21-31	26
14.ანჟე	22	5	9	8	23-27	24
15.ნანტი	22	6	6	10	27-29	24
16.დიჟონი	21	5	5	11	19-33	20
17.კაენი	22	3	9	10	20-31	18
18.ამიენი	22	5	3	14	18-37	18
19.მონაკო	22	3	6	13	19-38	15
20.გენგამი	22	3	5	14	16-46	14

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘ. ᲠᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

სტრასბური-ბორდო	3:2

ᲰᲝᲩᲙᲣᲒᲐᲚᲘᲐ. ᲰᲘᲛᲔᲘᲩᲐ ᲚᲘ�გᲐ

სეტუბალი-სპორტინგი	1:1

ᲛᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲰᲘᲛᲘᲔᲩᲘᲚᲘᲗᲐ

სელტიკი-სტ.ჯონსონი	2:0

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

სამი მერვედფინალისტი დამატებით მატჩებში გაირკვევა

საქართველოს თასის მერვედფინალური შეხვედრები კალათბურთში ძალიან დაძაბული გამოდგა. ჯერ მხოლოდ ერთი მეოთხედფინალური წყვილია ცნობილი, კიდევ სამი გუნდი მეტოქეს ელოდება.

ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა დელტამ მერვედფინალური სერიის მეორე მატჩიც მოუგო რუსთავს. თუ პირველ მატჩში დელტელებმა მეტოქე ოვერტაიმიან ბრძოლაში დაამარცხეს (73:69), რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზში მეტი დამაჯერებლობით იმარჯვეს.

თბილისურმა გუნდმა 81:69 მოიგო, რაშიც ლომის წილი მალკოლმ დრამრაითს უდევს. ამერიკელმა ლეგიონერმა 20 ქულა მიითვალა. შეუჩერებელი იყო ბექა ბექაური, რომელიც ერთნაირი წარმატებით უტევდა როგორც ფარქვეშიდან, ისე პერიმეტრიდან. ბექაურმა 3 სამქულიანი მიითვალა და სამწამიანიდანაც უხვად ქულები იხვეჭა. მის ანგარიშზე საბოლოოდ 18 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

დელტამ თასის გათამაშების მერვედფინალური სერია 2:0 მოიგო და მეოთხედფინალში მეტოქედ ბათუმი ელოდება.

ზღვისპირელებმა სერიის პირველი მატჩი ა ლიგის დებიუტანტ მეგა ბასკეტს 4 ქულით მოუგეს ბათუმში, ოლიმპიურ სასახლეში კი შედარებით დამაჯერებელი სხვაობით – 91:81 იმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ მეგა ბასკეტმა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

სამი მერვედფინალისტი დამატებით მატჩებში გაირკვევა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ბათუმელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ბოლო პერიოდამდე ტოლ-სწორად ებრძოდა და უმეტესწილად ლიდერობდა კიდეც. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ბათუმელებმა მეტოქე ბოლო წუთებზე გატეხეს და სასურველი შედეგი დააფიქსირეს.

გამარჯვებულებს 27 ქულით, 9 მოხსნითა და 8 პასით კეისი შეპარდმა ულიდერა. 18 ქულა და 10 მოხსნა დეიან იეფტიჩმა მიითვალა, ხოლო სტეფან ანდრეევიჩის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა. მეგა ბასკეტში 22 ქულითა და 10 პასით საუკეთესო იყო კორი სანდერსი. 24 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა დეონტა ნორტმა.

მერვედფინალური სერიის მეორე მატჩში ოლიმპმა 97:81 დაამარცხა თბილისი და საერთო ანგარიშით – 2:0 იმარჯვა.

წინა მატჩის მსგავსად, თბილისმა ამჯერადაც მაქსიმუმი გააკეთა და თამაშის განმავლობაში ოლიმპელებს ლიდერობა რამდენჯერმე მინიმუმამდე გაუბათილა, მაგრამ საბოლოოდ სუპერლიგის გუნდმა მაინც თავისი გაიტანა და მეორე ნახევარში მოპოვებული სრული უპირატესობა 16-ქულიან გამარჯვებად აქცია.

ოლიმპელებს 21 ქულითა და 15 მოხსნით მარკ ოგდენმა ულიდერა. 22 ქულა დააგროვა რეჯი ბეიკერმა, ხოლო 20 – ჩარლზ ბენეტმა. თბილისში

16 ქულით საუკეთესო იყო გიორგი დვალი. 14 ქულა და 12 მოხსნა ლევან რევაზაშვილის ანგარიშზეა.

ა ლიგის დებიუტანტმა ვერამ სუპერლიგელ მგზავრებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და შეხვედრის უმეტესობა უგებდა კიდეც. ბოლო მეოთხედში, მსაჯებთან არაკორექტულობის გამო მოედნიდან ჯერ ვერელების მთავარი მწვრთნელი თემურ კანკია და შემდეგ მოთამაშე, ტარიელ ზუზაძე გააძევეს. არადა, ვერა ბოლო წუთზეც ძალიან ახლოს იყო მოგებასთან, მაგრამ საბოლოო წარმატებამდე ვეღარ მივიდა.

სერიის პირველი მატჩის მსგავსად, გამარჯვებული კვლავ მგზავრები გამოვიდა.

ქუთაისელებს სერიის პირველი მატჩი აფხაზეთისთვის 113:74 ჰქონდათ მოგებული და მეორე მატჩშიც სასურველი შედეგის მიღწევა არ გასჭირვებიათ. აფხაზეთი მესამე პერიოდამდე უძალიანდებოდა იმერულ კლუბს, თუმცა შემდეგ გატყდა და 82:96 წააგო. გამარჯვებულთაგან 20 ქულით ჯონათან ლი გამოირჩა. 19 ქულა აკაკი ლომოურმა მიითვალა, 15 ქულა და 14 მოხსნა კი ტერენს ტომპსონის ანგარიშზეა.

რიონისპირელებს დინამო-კაკტუსის წყვილში გამარჯვებული ელოდება. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს ჯერ კიდევ სერიის პირველ მატჩში, რომელსაც თითქმის მთელი თამაში იგებდნენ და ბოლო წამებზე დათმეს. სერიის მეორე მატჩშიც ძირითადად კაკტუსი ლიდერობდა, თუმცა უპირატესობა მეორე ნახევარში დაკარგა. ამის მიუხედავად, სუპერლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ბოლომდე იბრძოლა და დინამოს გამარჯვება ბოლო წუთებზე გამოგლიჯა – 69:60.

კაკტუსელებს 24 ქულით დელანო სპენსერმა ულიდერა. 20 ქულა მიითვალა ტრისტან სპარლოკმა, დომინიკ ელიოტის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა. დინამოში 16 ქულით საუკეთესო იყო ლევან გრძელიძე. დემაგოი ბუბალომ შეხვედრა 15 ქულით დაასრულა.

შსს აკადემია-ტიტებისა და არენა-ორბის სერიის პირველი მატჩი სუპერლიგის გუნდს ჰქონდა მოგებული და მეორეშიც ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა ა ლიგის წარმომადგენელმა დიდებულად ითამაშა და მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში – 67:65 დაამარცხა.

თასის გათამაშებაში ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა ა ლიგელმა სუპერლიგის წარმომადგენელს სძლია. გამარჯვებულებს 19 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით გლენ ბარნსმა ულიდერა. 17 ქულა მიითვალა არმანი ფლანინგანმა, ხოლო ლევან ღოლიშვილის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა.

მეორე ასეთი ფაქტი სტუდენტური დერბიში დაფიქსირდა, რომელშიც ერთმანეთს თსუ-ჰიუნდაი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი შეხვდნენ. მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, როცა კავკასიელებმა გუნდური და შედეგიანი თამაშის წყალობით დამაჯერებელი – 13-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდმა, რომელსაც სერიის პირველი მატჩი 10 ქულით ჰქონდა წაგებული, 70:62 იმარჯვა და საერთო ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

18-18 ქულით კავკასიელებს ნიკა მეცხვარიშვილმა და ვენდელ ლუისმა ულიდერეს. ამ უკანასკნელმა 10 მოხსნაც მიითვალა და ორმაგ დუბლს უწია. თსუ-ჰიუნდაიში 16 ქულით საუკეთესო იყო ჯეიმს მილიკენი.

3 წყვილს შორის მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა თებერვალში გაიმართება და ზუსტი თარიღი რამდენიმე დღეში დადგინდება.

ქალმა, რომელსაც უნაყოფობა დაუდგინეს, ორჯერ იმშობიარა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ქალბატონი, რომელსაც 2007 წელს საკვერცხეების პოლიკისტოზური სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს, ორი შვილის დედა გახდა.

ინგლისის სუფოლკის საგრაფოს ქალაქ იფსვიჩის მკვიდრმა ჰანა კარპენტერმა და მისმა მეუღლემ მაიკმა ყველა შესაძლო მეთოდი ცადეს ბავშვის ჩასახვისთვის, მათ შორის ხელოვნური განაყოფიერებაც, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.

კარპენტერის აზრით, მან დაფეხმძიმება მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც რეგულარულად დაიწყო სავარჯიშო დარბაზში სიარული. მიუხედავად იმისა, რომ ექიმები აბსოლუტურად იყვნენ დარწმუნებულნი მის უნაყოფობაში, სამი წლის წინ ქალს პირველი შვილი ეყოლა, გოგონა, რომელსაც ნენსი დაარქვეს.

– როდესაც დიაგნოზი დამისვეს, თავს სრულიად გამოფიტულად ვგრძნობდი. ეჭვი არც კი შემპარვია ექიმის სიტყვებში, რომ ვერასოდეს გავაჩენდი ბავშვებს, – იხსენებს ქალი, – ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის გავლა რთული აღმოჩნდა. პირველი უშედეგოდ დასრულდა, მეორე ცდაზე კი თავიდან ყველაფერი გამოვიდა, მაგრამ შემდეგ მუცელი მომწყდა. მეუღლემ ეს დანაკარგი მძიმედ გადაიტანა.

პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ კარპენტერი თავს უბედნიერეს ადამიანად თვლიდა და იმის იმედი კი აღარ ჰქონდა, რომ მეორედაც დაფეხმძიმდებოდა.

– ყოველთვის ორი ბავშვის დედობაზე ვოცნებობდი, ამიტომ ორი წლის შემდეგ მეორედ დაფეხმძიმება ჩემთვის ნამდვილი სასწაული იყო, – განმარტა ქალმა.

ბრიტანელ ქალბატონს ორი სრულიად ჯანმრთელი ბავშვი ჰყავს და ჯერ-ჯერობით მესამეს გაჩენას არ გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პენსიაზე გასული ამერიკელი ბოდიბილდერი გახდა

ამერიკის ოჰაიოს შტატის მცხოვრები ადვოკატი კლეიტონ პატერსონი პენსიაზე გასვლის შემდეგ ბოდიბილდინგმა გაიტაცა. ერთ-ერთი ამერიკული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ 60 წლის ასაკში თავს გაცილებით სექსუალურად გრძნობს, ვიდრე 20 წლის ასაკში იყო.

პატერსონმა აღნიშნა, რომ მთელი ცხოვრება ცდილობდა, ფორმაში ყოფილიყო, სწორად ეკვება, სპორტში ევარჯიშა. თუმცა ბუნებით ის მეტად გამხდარი იყო და ამიტომ მისთვის არც ისე იოლი იყო კუნთების დაყენება. ამასთან, მას არც საამისო დრო ჰქონდა. თავდაპირველად დიდ დროს უთმობდა სწავლას, შემდეგ – პრესტიჟულ სამუშაოს, ოჯახურ ცხოვრებასა და ოთხი შვილის აღზრდას.

თუმცა ის 2017 წელს პენსიაზე გავიდა, კვირაში ექვს-შვიდჯერ სპორტულ დარბაზში სიარული დაიწყო და ბოდიბილდინგმა გაიტაცა. 2018 წელს მან ორ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა: კატეგორიაში 50+ მან მეხუთე, ხოლო კატეგორიაში 60+ მესამე ადგილი დაიკავა.

პატერსონს ცხოვრება ფიზიკური აქტიურობის გარეშე ვერ წარმოუდგენია და დარწმუნებულია, რომ ჯანმრთელობას სწორედ ამის წყალობით ინარჩუნებს. ის ყველა მსურველს ურჩევს, დაკავდნენ სპორტით, იარონ სპორტულ დარბაზში, მიუხედავად ფიზიკური ფორმისა და არაფრის მოერიდოთ.

მილიარდერის დამლაგებელმა სამი დღე ლიფტში გაატარა

ნიუ იორკში გადაარჩინეს ქალი, რომელიც სამი დღე ლიფტიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო საგენტო ავრცელებს.

მილიარდერ უორენ სტივენსის სახლში მეხანძრეები მას შემდეგ მივიდნენ, რაც ზარი შევიდა სამაშველო სამსახურში. მათ გახსნეს ლიფტი, რომელიც მეორე და მესამე სართულებს შორის იყო გაჩერებული და შიგნით 53 წლის დამლაგებელი დახვდათ.

ქალის თქმით, ის ლიფტში ჯერ კიდევ პარასკევს გაიჭედა. მილიარდერი და მისი ოჯახის წევრები რამდენიმე დღით დასასვენებლად იყვნენ წასული და ამიტომ დამლაგებელს ვერავინ მიეხმარა. დამლაგებელმა ჩაკეტილ კაბინაში სამი დღე საკვებისა და სასმელი წყლის გარეშე გაატარა. როდესაც ის ორშაბათ დილით ნახეს, მას უკვე გაუწყლოვნება ტანჯავდა.

დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია. სტივენსების ოჯახმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მათი დამლაგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებისკენ არის

მიმართული და ასევე განაცხადეს, რომ ყველა საჭირო ზომას მიიღებენ იმისთვის, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

ასტროპროგნოზი

1 თებერვლისთვის

ფერძი – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. **კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 2. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთი არჩევა; 3. შვედეთის პარლამენტი; 4. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 16. ცხოველთა საჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. ქართული გაზეთი.

თარაზულად: 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთსა და კალათბურთში; 9. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 10. შამფურზე შემწვარი ხორცი; 11. ყურის ანთება; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 15. ანგორული თხის მატყლი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული ვაშლის ღვინო; 22. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 23. უძველესი ქართული სახელმწიფო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბანა; 2. რადიო; 3. გვარლი; 5. გოეთე; 6. მალაიზია; 8. კონსილიუმი; 10. ნიაგარა; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. რაბინი; 16. ბუუი.

თარაზულად: 1. ბოლერო; 4. აგარანი; 7. მადერა; 9. ლაზები; 11. ანაკლია; 12. პრობაცია; 13. აგუერო; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიადუკი; 2. მექისე; 3. მესაჯერო; 4. სატელიტი; 7. სიბელიუსი; 8. აკვარელი; 12. წუწუნავა; 14. ფილოლოგი; 16. წერაქვი; 17. კალმახი; 19. რემა; 20. ქაჯი.

თარაზულად: 5. ზიმბაბვე; 6. შვეიცარია; 9. სულორი; 10. სირაჯი; 11. ტვიში; 13. ტუმბო; 15. პიარნუ; 18. მესხი; 21. ქორწინება; 22. ქარაგმა; 23. კარწახი.

რატი დურგლიშვილი ხატვამ გაიტაცა

მომღერალი რატი დურგლიშვილი ხატვამ გაიტაცა.

მან არც მეტი, არც ნაკლები, 1400 ცალი კერამიკული ფილა მოხატა.

რატი დურგლიშვილი:

– შემიფასეთ შრომა. მერე ვინმე იტყვის, ზარმაციაო! 1400 ცალი სათითაოდ შეღებილი და დამუშავებული ჩემ მიერ და კიდევ დაუსრულებელია.

ნიკა ქავთარაძეს მანქანა დაუზიანეს

იუმორისტ ნიკა ქავთარაძემ მანქანა დაუზიანეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ნიკამ თავად გაავრცელა:

– საშინლად გაბრაზებული და გულნატკენი ვარ!

მანქანაში ჩაჯდომის წინ შევამჩნიე, რომ მთელ სიგრძეზე არის გაჩხაპნილი ხელით.

რატომ არსებობენ ასეთი დედამოტ..ნული ადამიანები?!

ცხოვრებაში არ მომსვლია აზრად ადამიანის ქონების დაზიანება, ადამიანის ასე გამწარება.

თინათინ წულაძე დაინიშნა

სუხიშვილების მოცეკვავე თინათინ წულაძე დაინიშნა.

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და რეჟისორის ლევან წულაძისა და მსახიობ მანანა კოზაკოვას ერთადერთი ქალიშვილის რჩეული გიორგი კოტეტიშვილია.

წყვილმა ნიშნობის ამსახველი ვიდეო და ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა.

მათ გაბედნიერება მეგობრებმა და უახლოესმა ადამიანებმა მიულოცეს.

მხატვარი გია ეძგვერაძე: „სამყარო „მადლობასა“ და „მობოდიშებაზე“ დგას“



მხატვარი გია ეძგვერაძე ქართველი მშობლების მთავარ დანაშაულად შვილების მიმართ „უსასყიდლოდ მსახურებას“ მიიჩნევს და განმარტავს, რომ სამყარო „მადლობასა“ და „მობოდიშებაზე“ დგას:

– ქართველი დედები, ზოგადად კი მშობლები, იცით, სად არიან უსაშველოდ დამნაშავე თავიანთი შვილების მიმართ? „უსასყიდლოდ მსახურებას“ რომ ეწევიან შვილების მიმართ, ამ იდეას აჩვევენ და უმტკიცებენ შვილებს! მანდ ჰყავთ დაბრედილ-გაჩანაგებული თავიანთი პირმშო და მანდ არიან შვილების წინაშე კრიმინალები!

ასეთი „უსასყიდლო“ დამოკიდებულებით გაზრდილ ბავშვს უყალიბდება ცნობიერება, რომ სამყაროც ასე „უსასყიდლოდ“ უნდა მოექცეს მას, შეყვარებულიც, მეგობარიც, მეუღლეც, სახელმწიფოც, ღმერთიც... ანუ ადამიანებისგან, სამყაროსგან „ბუნებრივად“ ითხოვენ მფარველობას, წყალობას, უსასყიდლობას!

ცხინვალის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია



ცხინვალის თეატრი წლებია, გაუსაძლის პირობებშია. თეატრის დირექტორმა ზაზა თედიაშვილმა სპეციალური განცხადება გაავრცელა და განმარტა, რომ თეატრი სერიოზული პრობლემების წინაშეა:

– თუ სწრაფად არ გადაწყდა ჩვენი თეატრის შენობის საკითხი, უკვე მართლა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით!..

გვიფუჭდება დევნილობის 28 წლის განმავლობაში დაგროვილი აპარატურა, კოსტიუმები, რეკვიზიტი, დეკორაცია! გვიფუჭდება ყველაფერი, რაც გაგვაჩნია!..

კვირის ბოლომდე კიდევ დაველოდებით ინფორმაციას და მერე მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ როგორ ვიმოქმედებთ...

ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება თქვენი მხარდაჭერა, ჩვენო ერთგულო მეგობრებო!

თბილისში ისტორიული შენობიდან სკულპტურები ჩამოცვივდა

თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე ისტორიული შენობიდან სკულპტურები ჩამოიყარა.

ინფორმაცია ამის შესახებ ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– თბილისში, რუსთაველის 37-ში მდებარე ისტორიული შენობა, რომელიც ცნობილია, როგორც ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის სახლი, დანგრევის პირასაა.

ერთ ადგილას უკვე ჩამოიშალა სკულპტურული კომპოზიცია. მალე სხვებიც მიჰყვება, რადგან ყველა მათგანი გაბზარულია.

ეს თბილისისთვის დიდი უბედურება იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სარეცხ მანქანაში აღმოჩენილი კატა ცოცხალი გადარჩა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა სარეცხ მანქანაში შემთხვევით კატა გარეცხა. საბედნიეროდ, შინაური ცხოველი გადარჩა.

ჯეკი მალენსმა სარეცხ მანქანაში შემძვრალი და მთვლემარე ექვსი წლის სიამის ჯიშის კატა, სახელად გრეისი, ვერ შენიშნა, ლოგინის თეთრეული შეყარა და 20- წუთიან რეცხვაზე დააყენა. მანქანის დოლურა 40 გრადუსამდე გაცხელებული წყლით გაივსო.

რამდენიმე წუთის შემდეგ 58 წლის ქალს კატის კნავილი მოესმა. მან მის ძებნაში მთელი სახლი და ეზო დაათვალიერა და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რომ ხმა სამზარეულოში მდგარი სარეცხი მანქანიდან გამოდიოდა. პანიკაში ჩავარდნილმა მალენსმა მომხდარის შესახებ მეუღლეს აცნობა. ქმარმა სარეცხი მანქანა გამორთო, შეშინებული და ერთიანად გაწუწული კატა გამოიყვანა და მშრალ პირსახოცში გაახვია.

ცოლ-ქმარმა კატა დაუყოვნებლივ ვეტერინარებს მიუყვანა. მათ წყვილს განუცხადეს, რომ კატა, რომელმაც გონება დაკარგა, თავის ტვინის დაზიანებისა და ფილტვებში წყლის ჩადგომის გამო, სავარაუდოდ, ვერ გადარჩებოდა და მისი დაძინებაც კი შესთავაზეს. როდესაც ექიმი უკვე ცხოველის კრემაციაზე ალაპარაკდა, გრეისმა თავი წამოსწია და დაიკნავლა. ქალის თქმით, ექიმს სიტყვა პირზე შეაშრა და სხვა საავადმყოფოში გააგზავნა. იქ კატას წვეთოვანი დაუყენეს და მთელი ღამის განმავლობაში აკვირდებოდნენ მის მდგომარეობას.

მეორე დღეს ცხოველი გამოწერეს, ხოლო ბრიტანელს ექიმების მომსახურებაში 500 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუხდა. მისი თქმით, კატა თავს კარგად გრძნობს და ახლა უკვე სარეცხ მანქანას ახლოსაც აღარ ეკარება.

ელდარ შენგელაიას 86 წლის იუბილე ეროვნულ არქივში აღინიშნა

კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას 86 წლის იუბილე ეროვნულ არქივში მისი ერთ-ერთი საკულტო ფილმის „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ეროვნული არქივის კინოთეატრში ჩვენებით აღინიშნა.

35 წლის წინ ეკრანებზე გამოსული ქართული მხატვრული ფილმის ჩვენება კინორეჟისორის იუბილეს მიეძღვნა. ჩვენებას თავად იუბილარი რეჟისორიც ესწრებოდა. ეროვნული არქივის კინოთეატრში ფილმი მაღალი ხარისხით იყო წარმოდგენილი ინგლისური სუბტიტრებით.

სპეციალურად ჩვენებისათვის კინოთეატრის ფოიეში ფილმის გადასაღები მოედნის ამსახველი ფოტოები გამოიფინა.

ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ 5 წლის წინ კანის ფესტივალზეც აჩვენეს

ქალს 40 წლის ცხოვრება დაავიწყდა და 80-იან წლებში დაბრუნდა

ამერიკის ლუიზიანის შტატის ქალაქ ბატონ-რუჟის მცხოვრებმა კიმ ჰარის დენიკოლამ მეხსიერება დაკარგა და დაავიწყდა ყველაფერი, რაც მის ცხოვრებაში ბოლო 40 წლის განმავლობაში მომხდარა.

56 წლის დენიკოლა ბიბლიურ ჯგუფში ყოფნის დროს გახდა ცუდად. მან ძლიერი თავის ტკივილი იგრძნო, შემდეგ თვალთ დაუბნელდა, გონება დაკარგა და თვალი მხოლოდ საავადმყოფოში გაახილა.

გონს მოსვლის შემდეგ ქალი ვეღარ ცნობდა ვერც საკუთარ ქმარს, ვერც შვილებსა და ვერც შვილიშვილებს.

– მედდამ მკითხა: „იცით, ახლა რომელი წელია?“, – იხსენებს ქალი, – მე ვუპასუხე: „დიახ, ახლა 1980 წელია“. ის შემეკითხა: „ვინ არის პრეზიდენტი?“ მე კი ვუპასუხე: „რონალდ რეიგანი“.

დენიკოლა თვლიდა, რომ ახლა 18 წლის იყო და მის ბოლო მოგონებას სკოლის გამოსაშვები გამოცდა წარმოადგენდა.

– ყველაფერს მხოლოდ მას შემდეგ მივხვდი, როდესაც ტუალეტში შესულმა სარკეში ჩავიხედე და იქ დავინახე არა გოგონა, არამედ 56 წლის ქალი, – განაცხადა ქალმა.

ექიმები ფიქრობენ, რომ მან ტრანზიტორული გლობალური ამნეზია გადაიტანა და ეჭვი ეპარებათ, რომ ის დავიწყებულ წლებს ოდესმე გაიხსენებს. ქალი ამტკიცებს, რომ არასოდეს არაფერი სმენია ბარაკ ობამასა და დონალდ ტრამპის შესახებ. მას საკუთარი კომპიუტერი ტელევიზორი ეგონა, ხოლო მობილურმა ტელეფონმა შოკში ჩააგდო.

ახალგაზრდა მამაკაცმა თავისი შეყვარებული პორნოში ნახა

ჩინეთში ახალგაზრდა მამაკაცმა მეგობართან ერთად პორნორგოლის ყურებისას მსახიობებს შორის თავისი მეგობარი გოგონა აღმოაჩინა.

სიაო ჩუანის თქმით, მისი მეგობარი გოგონა სიაო ნანი ადგილობრივ იაპონურ პაბში სამუშაოდ მოეწყო, რათა სწავლის საფასურის გადახდაში მშობლებს დახმარებოდა. თუმცა შრომის ცუდმა პირობებმა ის იძულებული გახადა, სამსახური შეეცვალა.

ახალგაზრდა ნანმა არასრული სამუშაო დღის პირობებით მოდელად დაიწყო მუშაობა ერთ-ერთი ჟურნალისთვის. როდესაც ჩუანმა მისი პორნო ნახა, თვალთ დაუბნელდა.

– ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, რომ ის შესანიშნავად გამოიყურებოდა, მაგრამ მე ამის მოთმენა აღარ შემეძლო, – განმარტა ახალგაზრდამ.

მოგვიანებით წყვილი ერთმანეთს ტოკიოში შეხვდა და იქ ნანმა მის წინაშე აღიარა, რომ პორნოში გადაღება მისთვის სწავლის დასაფინანსებელ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.655
- ევრო — 3.0357
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4791
- 100 რუსული რუბლი — 4.0246

ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

29 იანვრიდან

რევაზ ინანიშვილი

რჩეული მოთხრობები



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

5 თებერვლიდან

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტესუმას ასული



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



31 იანვრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ანეკდოტი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ამდენ სხვადასხვა მარშებს რომ მართავენ, სულელების მხარდამჭერს რატომ არ ატარებენ?

– იმიტომ, რომ მარშები მხოლოდ უმცირესობების დასაცავად იმართება.

•••

ქმარი სტუმრების მოლოდინში ცოლს ეუბნება:

– სადღესასწაულო სერვიზი მაგიდაზე დააწყე, მხოლოდ ვერცხლის კოვზები არ დააწყო.

– ძვირფასო, ნუთუ ფიქრობ, რომ ჩვენი სტუმრები მათ მოიპარავენ?

– არა, ვფიქრობ, რომ შეიძლება იცნონ.

•••

სკოლაში მიმავალი პირველ კლასელი საბავშვო ბაღთან ჩაივლის და ეზოში ქვიშაში მოთამაშე ბავშვებს გასძახებს:

– დიდი სიამოვნებით შემოგიერთდებოდით, მაგრამ განათლება არ მაძლევს მაგის უფლებას.

•••

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს მიმართავს. მეუღლისთვის რაიმე ორიგინალური საჩუქარი მინდა.

– აი ეს ძალიან სექსუალური და მოდური თეთრეული უყიდეთ.

კაცმა ყველაზე დიდი ზომის აიღო და გამყიდველი ღიმილით ეკითხება:

– მძაფრი შეგრძნებებისთვის ვიაგრასაც ხომ არ შეიძენდით?

– არა, ამის სანახავად, მირჩევნია, კორვალოლი ვიყიდო.

•••

ანატომიის გაკვეთილზე მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– ადამიანს რომელი ორგანო აქვს ყველაზე დიდი?

– უკანალი, მასში მთელი ქვეყანა ეტევა.

•••

კრიმინალურ ქრონიკაში აცხადებენ:

– მანიაკმა ფულს შხამი წაუსვა და ობოლ ბავშვთა სახლს შეწირა. შედეგად 20 დეპუტატი, ორი ქალაქის მერი და ერთი მინისტრი დაიღუპა. ბავშვები არ დაშავებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ილო ბეროშვილმა და ანი ბებიამ საკუთარი დაქორწინების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით გაიგეს

მსახიობებმა ილო ბეროშვილმა და ანი ბებიამ საკუთარი დაქორწინების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით გაიგეს.

წყვილი არ მალავს, რომ ერთად არის, ერთობლივ ფოტოებსაც ავრცელებენ სოციალურ ქსელში, თუმცა არ დაქორწინებულან.

მსახიობი ანი ბებია მაყურებლისთვის სერიალ „ხელოვნური სუნთქვიდან“ გახდა ცნობილი, შემდეგ კი „ჩემი ცოლის დაქალებში“ აფთიაქის თანამშრომლის როლი ითამაშა. მისი პერსონაჟით ილო ბეროშვილის გმირი, შავლეგო მადლიანი დაინტერესდა, მაგრამ მათი ურთიერთობა სერიალში აღარ გაგრძელდა, რასაც მაყურებელი ნამდვილად ელოდა.

„ჩემი ცოლის დაქალებში“ ნათამაშევი ეს ეპიზოდი გახდა ჭორების მიზეზი, რომ ილო და ანი ერთად არიან და დაქორწინდნენ. ანი ბებიამ ეს ინფორმაცია ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემისგან შეიტყო და საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე გაანალიზა, თან ილოც მონიშნა: „მე არ ვიცოდი და შენ?“

ანი ბებიამ შექმნილი უხერხულობის გამო ბოდიში მოიხადა:

– წაგართმევთ 2 წუთს და ვეცდები, მოკლედ ავხსნა. ჩემი და ილოს ფოტო დადეს ჟურნალისტებმა და თავიანთი ლოგიკური დასკვნით გადაწყვიტეს, რომ დავქორწინდით, რაც არის ტყუილი. მე და ილო არ დავქორწინებულვართ და ჩემი პოსტი „თაფლობის თვე კუს ტბაზე“ იყო სარკაზმი და მეტი არაფერი. მადლობა ყურადღებისა და მოლოცვისთვის. მე გიხდით ბოდიშს ჟურნალისტების ფანტაზიისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ძველი სკამიდან გადმოვარდნილმა ფულის შეკვრამ სკოლაში აურზაური გამოიწვია

იერუსალიმში ეძებენ პატრონს 100-დოლარიანების შეკვრისა, რომელიც ებრაული რელიგიური სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთ კაბინეტში იპოვეს. ადგილობრივი პრესის ცნობით, ფულის შეკვრა გადმოვარდა სკამიდან, რომელიც ორი წლის წინ მეზობლად მდებარე ნაგავსაყრელიდან წამოიღეს.

სკამი ინტერნატის „შლომი სიმას“ მოსწავლეს მისცეს. მასზე ჯდომის დროს მოსწავლემ თავი არაკომფორტულად იგრძნო და გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ რა იყო ამის მიზეზი. სკამიდან ფულის დასტა გადმოვარდა, რომელმაც ოთახში მყოფი ოთხი სხვა მოსწავლის ყურადღება მიიქცია. გარკვეული პაუზის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა გადაწყვიტა, ინიციატივა გამოეჩინა, სწრაფად დასტაცა ფულის შეკვრას ხელი და მიითვისა. ბიჭმა, რომელიც სწორედ იმ სკამზე იჯდა, მოასწრო და მას ერთი 100- დოლარიანი კუპიურა გამოსტაცა.

მომხდარის თვითმხილველთა გარდა, ფულზე პრეტენზიას აცხადებს ყოფილი მოსწავლეც, რომელმაც სკამი იპოვა და ინტერნატში მოიტანა. ფულის დაუფლების ყველა მსურველი მის მისათვისებლად ისრაელის კანონმდებლობასა და სხვადასხვა პრეცედენტს იშველიებს.

სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობა და მასწავლებლები შეეცადნენ, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ აღნიშნული კონფლიქტი, მაგრამ ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ. საბოლოოდ ფულის ბედს ქვეყნის რელიგიური სასამართლო გადაწყვეტს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა საკუთარ თავს თავად უმკურნალა

დიდ ბრიტანეთში მამაკაცმა თავადვე ამოიღო მტკივანი კბილი მას შემდეგ, რაც წლინახევრის განმავლობაში კბილს ექიმთან შესვლა ვერ შეძლო.

ინგლისის კორნუოლის საგრაფოს მკვიდრი 62 წლის დევიდ ვუდჰაუსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარუმატებლად ცდილობდა კბილის ექიმთან მოხვედრას. როდესაც მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ტკივილის ატანა აღარ შეეძლო, საკუთარი ხელით, ბრტყელტუჩათი ამოიძრო მტკივანი კბილი.

– კბილის ამოღება პრობლემა არ ყოფილა, უბრალოდ, მკურნალობა მჭირდებოდა, – განმარტა ბრიტანელმა.

სამაგიდო თამაშით ოჯახური გართობა ჩხუბით დასრულდა

ამერიკის კანზასის შტატში სამაგიდო თამაშით ოჯახური გართობა ჩხუბში გადაიზარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ქალაქ კანზას-სიტის ერთ-ერთი მცხოვრების ოჯახში თამაშ „მონოპოლიის“ წესების გარშემო კამათი ატყდა. ერთ-ერთი მოთამაშე ბიძაშვილს შეეკამათა, რა დროსაც ამ უკანასკნელის მეგობარმა გოგონამ მას ხელი დაარტყა და მერე სარკეს მიახეთქა. სარკე გატყდა და მისმა ნამსხვრევებმა მოკამათე დააზიანა.



დაშავებულმა პოლიცია გამოიძახა, გოგონა კი სამართალდამცავების მოსვლამდე სახლში გაიქცა. თამაშის მონაწილე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ექიმებმა რამდენიმე ნაკერი დაადეს.

შერიფ ტერი ზეიგლერის თქმით, ჯერჯერობით ამ შემთხვევის გამო არავინ დაუკავებიათ. თამაშის მწარმოებელმა კომპანიამ მომხდარის კომენტირებისგან თავი შეიკავა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 2. მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. ზღვის დიდი, ათფეხა, ჯავშნიანი კიბორჩხალა; 8. თევზების შემსწავლელი მეცნიერება; 10. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 12. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 16. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.

თარაზულად: 1. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. სახალხო დღესასწაული ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 9. საქარგავი ფერადი ძაფი; 11. სამცხის მმართველთა ტიტული ძველად; 12. კბილის ექიმის ძველებური სახელწოდება; 13. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 17. თბილისის მერი; 18. ქალაქი ინდოეთში, სადაც განთავსებულია ტაჯმახალის ტაძარი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა